# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 23 აპრილი, 2009 წელი.

№ 80 (6181)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# „გადაყენების“ თეორია






3

## საკუთარ თავთან დიალოგი უნაყოფო იქნება



6

## „ტუსოვკა“ თავის მხარდამჭერებთან



2

## წინააღმდეგობის მიუხედავად კოლონები თბილისში მაინც ჩამოვიდნენ

2

ხმას მაშინ არ იღებდნენ, როდესაც ლომაია განათლებას ანგრევდა...

2

დავით ზურაბიშვილი:

## სააკაშვილი ჩამოწერილი პრეზიდენტია



3

## მოლოდინი

თავისუფალი აზრის სახლი



5

## ქართული რეალური შოუს გმირი პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოდის



8

„ბარიერები“

# წინააღმდეგობის მიუხედავად კოლონები თბილისში მაინც ჩამოვიდნენ

**ბათუმიდან თბილისისკენ დაძრული კოლონა 60 მსუბუქი ავტომანქანისა და სამარშრუტო ტაქსისგან შედგებოდა.**

ოზურგეთში მათ გურიის აქტივისტები შეუერთდნენ, სამტრედიაში კი კოლონას შეუერთდნენ სამეგრელოდანაც.

როგორც „ეროვნულ ფორუმში“ განაცხადეს, აქციის მონაწილეთა მსვლელობის შეფერხების მიზნით, უცნობმა პირებმა „ეროვნული ფორუმის“ სამარშრუტო ტაქსს საბურავები დაუჭრეს, თუმცა ამით მხოლოდ რამდენიმე მანქანა შეფერხდა და კოლონა ბათუმიდან მაინც დაიძრა. ამასთანავე, ცნობილი გახდა, რომ ბათუმის ავტოსადგურში საბურავები დაუჭრეს ყველა სამარშრუტო ტაქსს, რომლებიც შიდა რეისებზე მუშაობენ.

კახეთის რეგიონიდან კი საპროტესტო აქციის მონაწილეები თბილისში გუშინ საღამოს ჩამოვიდნენ.

საპროტესტო აქციის მონაწილეთა ნაწილი კახეთში დარჩა, „ვინაიდან საქართველო მხოლოდ თბილისი არ არის და მხოლოდ რუსთაველზე აქციების ყველა მონაწილის კონცენტრირება არასწორია“.

– წინააღმდეგობა მთელს საქართველოში გაიშლება, რადგან ხელისუფლებამ დაინახოს, რომ უკმაყოფილოები მხოლოდ თბილისში არ არიან და აქციაზე მხოლოდ პატიმრების ნათესავები არ დგანან, – აღნიშნა ეროვნული ფორუმის წევრმა ნიკო ორველაშვილმა.

## სცემეს „ეროვნული ფორუმის“ წევრი

**„ეროვნული ფორუმის“ წევრს ელდარ ჭაფანიძეს, რომელიც ფოთიდან თბილისისკენ მომავალ კოლონას უნდა დაწეოდა, გზაში ნიღბიანები თავს დაესხნენ და სცემეს.**

**როგორც „ეროვნული ფორუმის“ პრესსამსახურის უფროსმა მაგდა პოპიაშვილმა განაცხადა, თავდასხმა სოფელ სუფსასთან მოხდა.**

**– ოთხი ნიღბიანი პატრულის თანდასწრებით სცემდა ჩვენს თანაპარტიელს. ამ დანაშაულზე პატრულს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია, – განაცხადა პოპიაშვილმა და აღნიშნა, რომ ნაცემი ფოთის საავადმყოფოში გადაჰიყვანეს.**

ინტერპრესნიუსი



აქციები და სკოლა

# ხმას მაშინ არ იღებდნენ, როდესაც ლომაია განათლებას ანგრევდა

**თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის 15 სკოლაში სასწავლო პროცესი ჩაიშალა.**

**როგორც მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მედეა სამსონიამ განაცხადა, რაიონში არსებული 27 საჯარო სკოლიდან 15-ში სასწავლო პროცესი ჩაშლილია.**

– მიმდინარე საპროტესტო აქციების და იმის გამო, რომ თავისუფლების მოედანიც გადაიკეტა, სასწავლო პროცესი მთელ რიგ სკოლებში ვერ განახლდა. მშობლები შიშობენ თავიანთი შვილების უსაფრთხოების გამო, ჩვენ კი მათ ვერავითარ გარანტიას ვერ ვაძლევთ, - განაცხადა სამსონიამ.

მისივე თქმით, პირველ, 47-ე, 42-ე, 84-ე, 50-ე, 43-ე, 58-ე, 67-ე და სხვა სკოლებში მოსწავლეთა ისეთი მცირე რაოდენობა გამოცხადდა, რომ პედაგოგებმა გაკვეთილების ჩატარება ვერ შეძლეს.

– ჩვენ გვესმის, რომ ადამიანებს აქვთ აზრის საჯაროდ გამოხატვის უფლება, მაგრამ ბავშვებს აქვთ განათლების მიღების უფლება და ერთი მეორეს ხელს არ უნდა უშლიდეს, – აღნიშნა სამსონიამ.

თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციების გამო, სასწავლო პროცესის შეფერხებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, ძირითადი სატრანსპორტო არტერია, რომელიც 15 სკოლამდე გადაადგილებას უზრუნველყოფს, არის აბსოლუტურად პარალიზებული. ამის გამო მოსწავლეების სკოლაში მიყვანა ვერ ხერხდება და ირღვევა მათი განათლების მიღების უფლება.

ნიკა გვარამიას განცხადებით, მშობლები ამ მონაკვეთზე, რუსთაველის გამზირზე ბავშვების გადაადგილებას აღიქვამენ საფრთხედ და მას არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მშობლები გადაარწმუნოს, თუმცა მან მოუწოდა მშობლებს, რომ გაუშვან ბავშვები სკოლებში.

ინტერპრესნიუსი

ინფორმაცია

## კვლავ დახურულ რეჟიმში

**გუშინ მთავრობის კანცელარიაში პრეზიდენტის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა.**

როგორც ხსდომის დაწყებამდე მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განაცხადა, დღეს არის ჩვეულებრივი მთავრობის სხდომა, რომელზეც პრეზიდენტი მოისმენს ანგარიშს მთავრობის მუშაობის თაობაზე და გასცემს კონკრეტულ დავალებებს.

რაც შეეხება იმას, იქნება თუ არა პრეზიდენტის მხრიდან საუბარი ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე, ხუროშვილის განცხადებით, ქვეყანაში მოსახლეობას აქვს კონკრეტული პრობლემები და მოსახლეობა მთავრობისგან ამ პრობლემების გადაჭრას ითხოვს.

ამასთან, მთავრობის სხდომას არ დაესწრო პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, რომელიც ვიზიტით იმყოფება თურქმენეთში. არ არსებობს, ასევე, სხდომის კონკრეტული დღის წესრიგი.

მთავრობის სხდომა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა და პირდაპირი ტრანსლაცია არ ხორციელდებოდა.

## გენერალ-მაიორი ეკონომიკური ფორუმის გამართვას განიხილავს

**დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ ამერიკელი გენერალ-მაიორი უილიამ ნესბითი მიიღო.**

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ნესბითმა განაცხადა, მათ შეხვედრაზე ქართულ-ამერიკული ეკონომიკური ფორუმის გამართვის პერსპექტივები განიხილეს, რომელიც სექტემბერში იგეგმება. ორდღიანი კონფერენციის მოწყობის მიზანი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და კულტურული სიახლეების გაზიარება და განვითარებაა.

თავის მხრივ, დედაქალაქის მერმა აღნიშნა, რომ ქართულ-ამერიკული ეკონომიკური ფორუმი ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს.

## რა დროს ეკონომიკის სამინისტროს რემონტია?

**მოძრაობა „რატომ?“ აქტივისტები, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პირველი და მეათე სართულების სარემონტო ხარჯებს აპროტესტებენ.**

მოძრაობა „რატომ?“ აქტივისტები, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან საყვირებით და ტრანსფარანტებით მივიდნენ, რომლებიც სამინისტროს პირველი და მეათე სართულების რემონტის 577 150 ლარის ხარჯებს აპროტესტებენ.

როგორც ერთ-ერთმა აქტივისტმა განაცხადა, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისია, არ შეიძლება კოლოსალური თანხები რემონტებსა და ახალი მანქანების შეძენაზე იხარჯებოდეს.

აქციის მონაწილეებმა ეკონომიკის სამინისტროს შესასვლელზე და მანქანებზე სტიკერები გააკრეს წარწერით „რატომ?“.

ინტერპრესნიუსი

თვალსაზრისი

# დიალოგი ამ ხელისუფლებისთვის ნიშნავს „ტუსოვკას“ თავის მხარდამჭერებთან

**გვესაუბრება „ალიანსი თავისუფლებისთვის“ ლიდერი გუგული მაღრაძე**

**– ქალბატონო გუგული, აქციები დროში გაიწელა. რამდენად აძლევს ეს ხელს ოპოზიციას მიზნის მისაღწევად?**

– ვერ ვიტყვით, რომ აქციების გაწელვა მოულოდნელი იყო, რამდენადაც ოპოზიციაში არავის არ ჰქონია იმის ილუზია, რომ არსებული ხელისუფლება ადვილად შეელეოდა ძალაუფლებას. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ხელისუფლება, უპირველეს ყოვლისა, ხალხის მსახურია, ჩვენთან კი წარმოუდგენია, რომ მხოლოდ მისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად არსებობს ქვეყანაც, ხალხიც. ამის დათმობა მათგან დიდ ფსიქოლოგიურ ძალისხმევას მოითხოვს და ამიტომაც გახდა საჭირო ხალხის ასეთი დარაზმვა ამ ხელისუფლების შესაცვლელად.



თუ ხელისუფლებას და ოპოზიციას რესურსის თვალსაზრისით შევაფასებთ, ოპოზიციას უკეთესი მდგომარეობა აქვს, რადგან ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერა მისკენაა (ეს შედეგები სოციოლოგიურ კვლევებში აღნუსხულიაძ. ხელისუფლება ფაქტობრივად პარალიზებულია: პარლამენტი ვერ მუშაობს, პრეზიდენტი პიარ-კამპანიებშია გახლართული, რისთვისაც უცხოელ სპეციალისტებს დიდძალ ფულს უხდიან ჩვენი ბიუჯეტიდან, და სხვადასხვა ჯილდოების გადაცემითაა ძირითადად დაკავებული. ბიუჯეტში ფული არ შემოდის, 2009 წლის I კვარტალში (ამ დროს ოპოზიციამაც კი არ იცოდა, რომ მიტინგები დაიწყებოდა, ასე რომ შემოსავლის კლება ბიუჯეტში არანაირად არაა დაკავშირებული მიტინგებთანძ ბიუჯეტში უკვე უფრო მეტი გასავალი იყო, ვიდრე შემოსავალი. მომავალში ხელისუფლებას სულ უფრო გაუჭირდება თავისი თავის კარგად შენახვა და სახელმწიფოში აუცილებელი ძირითადი ხარჯების გაწევაც. საერთაშორისო მხარდაჭერაც სულ იკლებს და იკლებს. მაგრამ ეტყობა ხელისუფლებაში ყოფნა ჩვენს ქვეყანაში ისეთი უზარმაზარი დივიდენდების მომტანია ხელისუფლებაში მყოფთათვის, რომ მათ ვერ წარმოუდგენიათ ხელისუფლებაში ყოფნის გარეშე არსებობა, თორემ დაუჯერებდნენ ამ ხელისუფლებისთვის ახლობელ ევროპელ დიპლომატს, რომელმაც კერძო საუბარში აღნიშნა, მეც ვეუბნები მიშას, რომ ხელისუფლებაში ხან ხარ, ხან არა და ამას უნდა შევეგუოთო, მაგრამ ევროპულ რჩევებს მხოლოდ მაშინ უსმენს ჩვენი ხელისუფლება, როცა აწყობს. ანდა სწორედ ევროპის უახლესი მაგალითები მოწმობს, რომ ხალხის პროტესტის საფუძველზე ქვეყნის მთავრობების შეცვლა სრულიად არ არის ქვეყნის დაქცევა, პირიქით ეს არის კრიზისიდან გამოსვლის საუკეთესო გზა.

გამომდინარე აქედან, ჩვენს ხალხს სჭირდება კიდევ და კიდევ დაამტკიცოს, რომ მისი პროტესტი არაა გაბრაზებული ხალხის ემოციები (ასეთი საკმაოდ შეურაცხმყოფელი შეფასება გააკეთა ხელისუფლებამ საპროტესტო აქციებში მონაწილეთა მიმართძ, არამედ ეს არის ჩვენი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება: ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ უზრუნველყოს ამ ხელისუფლების შეცვლა. შეცვლა არა იმიტომ, რომ ეს არის რაიმე ახირება, არამედ იმიტომ, რომ ამ ხელისუფლების ხელში ქვეყანა სულ უფრო უკან და უკან მიდის და არანაირი რესურსი მდგომარეობის გამოსწორებისა მას არ აქვს.

ხალხი ამას აცნობიერებს, ამიტომაც დგას ფეხმოუცვლელად და გრძნობს, რომ საპროტესტო აქციების ყოველი დღე აახლოვებს მას მთავარ მიზანთან, რაც ძალიან მარტივია: ამ ხელისუფლების წასვლა, სამართლიანი არჩევნების ჩატარება და ხალხის ნდობის მქონე ხელისუფლების არჩევა.

იხ. 5 გვ.

**◉ გამოთვლა**

# „გადაყენების“ თეორია

***„ამრიგად, ცენტრალური კომიტეტი აღიარებს, რომ შეიარაღებული აჯანყება გარდაუვალი და სავსებით მომწიფებულია და წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციას იხელმძღვანელონ ამით და ამ თვალსაზრისით განიხილონ და გადაწყვიტონ ყველა პრაქტიკული საკითხი“.***

***„კრება სავსებით მიესალმება და მთლიანად მხარს უჭერს ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციას, მოუწოდებს ყველა ორგანიზაციას, ყოველმხრივ და გაძლიერებით მოემზადონ შეიარაღებული აჯანყებისთვის, მხარი დაუჭირონ ცენტრს, რომელსაც საამისოდ ქმნის ცენტრალური კომიტეტი და სრულ რწმენას გამოთქვამს, რომ თავის დროზე ცენტრალური კომიტეტი და საბჭო მიუთითებენ შეტევის ხელსაყრელ მომენტს და მიზანშეწონილ საშუალებას“.***

არ შეგეშინდეს, ძვირფასო მკითხველო და ერთი წამითაც არ გაივლო გულში, რომ სამართალდამცავებს ოპოზიციის „მორიგი გეგმა“ ჩაუვარდათ ხელთ და რადგანაც ტელევიზიით ნაჩვენები ნებისმიერი ინფორმაცია ხალხს ტყუილი ჰგონია, მათ ჩემი დახმარებით დააპირეს „სავარაუდო დესტაბილიზაციის დროულად აღკვეთის“ გაცხადება.

წერილის დასაწყისში, მუქი შრიფტით გამოყოფილი სტრიქონები, არც მეტი და არც ნაკლები, 1917 წლის 23 და 29 ოქტომბერს, პეტროგრადშია დაწერილი და „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ წინ ჩატარებული ბოლო ორი თათბირის რეზოლუციებიდანაა ამოკრებილი.

რა მაგის პასუხია და კიდევ კარგი ინტერნეტი არსებობს, თორემ ვ. ი. ლენინის თხზულებების მე-4 გამოცემის 26-ე ტომიდან ამოწერილი ეს ტექსტი, „შემთხვევითი ჩხრეკის დროს“ პოლიციას რომ ჩავარდნოდა ხელში (საერთოდ ასეთ „პროცედურას“ „დაკავება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე“-ს უწოდებენძ, მერე გენახათ „კურიერებში“ „ჩემი დაკითხვიდან“ „პირდაპირი ჩართვები“. არადა რა დაამტკიცებდა, რომ იმ თათბირებს ძერჟინსკი თავმჯდომარეობდა და არა რომელიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერი. მოკლედ ბეწვზე ვარ გადარჩენილი (ჯერჯერობითძ.

რადგანაც საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტის ერთადერთ სწორ ტაქტიკად „მშვიდობიანი და არაძალადობრივი ბრძოლა“ განისაზღვრა, ამიტომ ამ „პროვოკაციულ ვარაუდებს“ თავს დავანებებ და წერილის თემას, ანუ „გადაყენების თეორიას“ დავუბრუნდები (მიუხედავად იმისა, რომ „აჯანყებაც“ „გადაყენების“ ერთ-ერთი გზააძ.

„გადაყენება“, ძალიან რთული და საპასუხისმგებლო საქმეა და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პრეზიდენტი უნდა გადააყენო, უადგილო ადგილას გაჩერებული მანქანა, თუ პატარა ბავშვი.

ერთის შეხედვით, მათ არაფერი აქვთ საერთო, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, ძალიან ბევრ ისეთ ნიუანსს აღმოვაჩენთ, რაც საშუალებას მოგვცემს „გადაყენების თეორიის“ ერთიანი თეზისები ჩამოვაყალიბოთ (ღმერთი, რჯული, ზემოთ ნახსენები ვ. ი. ლენინის „აპრილის თეზისებთან“ არაფერი მაქვს საერთოძ.

ამ თეორიის პირველ და ყველაზე მთავარ პოსტულატს ის მოსაზრება წარმოადგენს, რომ ***„გადასაყენებელი ობიექტი ხელს უშლის გარშემო მყოფთ“***, ანუ:

აძ უადგილოდაა გაჩერებული;

ბძ თავისი ჭირვეულობით ქმნის „მარცხის“ საშიშროებას;

გძ გარკვეული დროის მონაკვეთში ხელს უშლის ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას.

ამ „პირობების“ ერთობლიობა იწვევს „გადაყენების“ აუცილებლობას, მაგრამ აქ უკვე თავს იჩენს ე.წ. „ტექნიკური მხარე“.

აძ „გასაღები“, ანუ „გადასაყენებელი ობიექტის“ დაძვრის საშუალება (ახლა არ მითხრათ „გახალასტოება და გაგორებაც“ შეიძლებაო, მაგრამ ეგ იდეალურ შემთხვევაშიძ;

ბძ „გადასაყენებელი ობიექტი“ მაინცადამაინც არ უნდა „უძალიანდებოდეს“ „გადამყენებელს“;




გძ უნდა არსებობდეს იმის გარანტია, რომ „ობიექტისთვის“ „გადაყენება“ მშვიდობიანად დამთავრდება.

კარგი, მეყოფა ეს „ხალისობა“, რადგანაც ყველა მიხვდით, რომ ამ შემთხვევაში არც „უადგილო ადგილას გაჩერებულ მანქანას“ და არც ბევრი ლიმონათის სმის გამო „მარცხის საშიშროების წინაშე მყოფ პატარა ბავშვს“ არ ვგულისხმობ და მინდა მცირე ანალიზის საშუალებით გამოვთვალო დღევანდელი რეჟიმისგან განთავისუფლებისთვის ბრძოლაში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის შანსები.

სახელმწიფოში ხელისუფლების შეცვლის რამდენიმე გზა არსებობს.

ესენია:

1. არჩევნები;

2. სახელმწიფო გადატრიალება („სახელმწიფო გადატრიალება“, ეს არის წარმატებით განხორციელებული „შეთქმულება“ძ;

3. პირველი პირის გადადგომა;

4. რევოლუცია (ან აჯანყებაძ.

საქართველოში არსებული სიტუაცია პირველ ორ ვარიანტს გამორიცხავს, რადგანაც არჩევნებამდე ჯერ კიდევ შორსაა, ხოლო სახელმწიფო გადატრიალების მომწყობები დღევანდელ ხელისუფლებაში ნამდვილად არ მოიძებნებიან („სახელმწიფო გადატრიალების“ დროს, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველი პირისა და ძალოვანი სტრუქტურების ურთიერთდამოკიდებულებას.

ისტორიაში ფაქტობრივად არ არსებობს შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს პირველი პირის შეცვლაში საპოლიციო აპარატის წარმომადგენლებს, ანუ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს მიეღოთ მონაწილეობა. ეს სტრუქტურა, როგორც წესი არსებული ხელისუფლების ერთგული რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მისი მუშაკებიც ზუსტად ისევე განიცდიან იმ მდგომარეობას, რაც არსებული ხელისუფლების შეცვლის საბაბი ხდება (აქ, ჩემი აზრით, „პროფესიული ფსიქოლოგია“, ანუ „წესრიგის დაცვის“ პრინციპი „მუშაობს“ძ.

არსებული რეჟიმის შეცვლის პროცესში, დომინანტს უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროს მაღალი ეშელონები წარმოადგენდნენ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა სწორედ ამის გამო გააერთიანა უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები და ის მისთვის ყველაზე ერთგულ კაცს დაუქვემდებარა (თუ არ ვცდები, გარკვეული პერიოდი სტალინსაც ერთ სისტემაში ჰყავდა მოქცეული ეს ორი სტრუქტურაძ.

რადგანაც „მეოთხე ვარიანტი“ ძალიან რადიკალური და ნორმალური ქვეყნისთვის მიუღებელია (ფაქტობრივად ე. წ. „ბოლო შანსია“ძ, ამიტომ ყველაზე რეალური „მესამე ვარიანტის“ განხორციელება და მისი საშუალებით არჩევნების მიღწევა რჩება.

როდესაც ქვეყანაში არსებული სიტუაცია, პირველი პირის გადადგომას (ანუ ხელისუფლებისა და არსებული კურსის რადიკალურ ცვლილებებსძ მოითხოვს, თავს იჩენს ერთი, ასე ვთქვათ „დელიკატური“ საკითხი, რომელიც არა მხოლოდ პირველ პირს, მის უახლოეს პოლიტიკურ, თუ ფინანსურ გარემოცვას ეხება. ეს ე. წ. „გარკვეული გარანტიების“ მიღების საკითხია.

ზემოთ ჩამოთვლილ „ვარიანტებში“, მსგავსი „გარანტიების“ მოთხოვნა მხოლოდ „მესამე ვარიანტის“ დროს ხდება, რადგანაც არც არჩევნები, არც სახელმწიფო გადატრიალება და მით უმეტეს არც რევოლუცია არავითარ „გარანტიებს“ არ იძლევა.

ძალიან საინტერესოა, თუ როგორ ხდება ამ „გარანტიების“ მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს პირველი პირის მშვიდობიანი, არაძალადობრივი ბრძოლის გზით გადაყენების არც ისე ბევრი მაგალითი არსებობს, მათს შორის გარკვეული კანონზომიერება მაინც შეიმჩნევა.

ასეთი სიტუაციის დროს, ყველაზე მნიშვნელოვანია ე.წ. „კულუარული ქმედებები“, რომელთა მიმდინარეობა, პირველ რიგში იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ სახელმწიფოში ხდება პირველი პირის გადაყენება.

თუ სახელმწიფო ე.წ. „დიდ ქვეყანას“ წარმოადგენს, მაშინ „კულუარული ქმედებების“ ძირითადი აქცენტი ოპოზიციასა და ქვეყნის გავლენიან პოლიტიკურ წრეებს, ასევე პირველი პირთან დაახლოებულ არაპოლიტიკურ ადამიანებს (მეგობრებსძ შორის ურთიერთობაზეა გადატანილი, ანუ ოპოზიცია ცდილობს, პირველი პირის ახლობლები დაარწმუნოს გადადგომის აუცილებლობაში და გარკვეულ შემთხვევაში ფრთხილი მუქარაც გამოთქვას, ხოლო ხელისუფლებაში მყოფ გავლენიან პოლიტიკოსებს მისცეს გარკვეული ხელშეუხებლობის გარანტიები.

როდესაც საქმე „პატარა“ ქვეყანასთან გვაქვს, აქ აქტიურ როლს მხოლოდ პირველი პირის ახლობლები და გარე ძალები ასრულებენ.

ამ „თეორიის“ მიხედვით, ოპოზიციამ გარკვეული „მუშაობა“ უნდა ჩაატაროს, როგორც სააკაშვილის უახლოეს გარემოცვასთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და გავლენიანი ქვეყნების ადმინისტრაციებთან.

იმ პირთა „გამოთვლა“, თუ ვისთან შეიძლება სააკაშვილის გარემოცვიდან ლაპარაკი, საკმაოდ ადვილია, რადგანაც პრეზიდენტის წრე, ნამდვილად არ არის „დაკომპლექტებული“ ისეთი „ძლიერი პიროვნებებით“, რომ მათ რაიმე რეალური გავლენა ჰქონდეთ სააკაშვილზე.

ხოლო ისინი, ვისაც შეუძლია გაბედოს და პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდოს (თანაც ისე, რომ სააკაშვილმა დაუჯეროსძ, თითებზე ჩამოსათვლელია და მათ შორის ყველაზე გავლენიანი პრეზიდენტის ბიძა, ბატონი თემურ ალასანიაა.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორც ცნობილია, მათ „არ უყვართ“ „მკვეთრი მოძრაობები“, ანუ ისინი მუდამ „დიალოგისა და მონიტორინგის“ მომხრენი არიან, რაც პროცესის დროში გაწელვას და ხშირ შემთხვევაში ოპოზიციის დამარცხებას იწვევს, მაგრამ „მაგრად დადგომა“ და ზუსტი დიპლომატია, ნამდვილად სასურველ შედეგს გამოიღებს.

ოპოზიციის მიზანმიმართული და სწორი მოქმედების შემთხვევაში, სააკაშვილის გარემოცვა თავიდან საკმაოდ დიდ გარანტიებს მოითხოვს (ანუ დასაზუსტებელი იქნება „ინდულგენციამისაღებ პირთა სია“ძ. ბუნებრივია, რომ ოპოზიციაში იქნება რადიკალური მოსაზრებებიც, მაგრამ ეს ტექნიკური საკითხია და თავად პროცესის დროს დარეგულირდება.

ეს „საქმე“ დროზეა გასაკეთებელი, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხს მოსწყინდება „წყლის ნაყვა და ოპოზიციიდან დაწყებული, ხელისუფლებით დამთავრებული, ყველას გადაუვლის“ (ეს არის ფრაზა, რომელიც აქციების მეხუთე დღეს ხალხში გავიგონეძ.

**გია გაბრიჭიძე**

**◉ ოპოზიცია**



# დავით ზურაბიშვილი: სააკაშვილი ჩამოწერილი პრეზიდენტია

## დასავლეთში ის არავის აინტერესებს, არავინ არ ხვდება

***საპროტესტო აქციები გრძელდება. ოპოზიცია შეუპოვარია, ხალხი აქტიური, ხოლო ვინც პასიურობს, ან საერთოდ შორს დგას ამ აქციებისგან, ის გვერდიდან ადევნებს თვალს. საზოგადოება გულგრილი არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგან ეს საპროტესტო განწყობა ყველასა და ყველაფერზე თანდათან ასახვას ჰპოვებს.***

***რა შედეგი მოჰყვება პოლიტიკურ მოვლენებს და რა განვითარებას ჰპოვებს, ამის შესახებ გვესაუბრება „ალიანსი საქართველოსთვის“ ერთ-ერთი წევრი, რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი.***

**— ბატონო დავით, ამ ბოლო დროს მაინცდამაინც არ აქტიურობთ, არ ჩანხართ...**

— როგორ არა, მიტინგებზე ხშირად გამოვდივარ, უბრალოდ ტელევიზიები არ მწყალობს. მგონი, მარტო მე გამოვედი, „ნაში“ რომ ჩამოდიოდა რუსეთიდან და კომენტარი გავაკეთე.

**— და რა თქვით?**

— თუ ისინი შემოვიდოდნენ უვიზოდ, ამ ხელისუფლების შემოშვებული იქნებოდა და ვთქვი, რომ ხელისუფლებასთან ერთად გავუშვებთ პანღურის კვრით-მეთქი. აქ პუტინის ნაშისტები არავის სჭირდება. თუ ვინმეს ჰგონია, ჩვენ სააკაშვილის გადაგდება იმიტომ გვინდა, რომ პუტინის ხელისუფლება მოგვწონს, ძალიან ცდება.

**— სანამ შიდაპოლიტიკაზე ვისაუბრებთ, საინტერესოა თქვენი დამოკიდებულება საგარეო ვითარებასთან დაკავშირებით.**

— თუ ხელისუფლება ისევ მოაწყობს 7 ნოემბერს, მაშინ ამას რუსეთი გამოიყენებს.

**— რა შესაძლო სცენარი შეიძლება განვითარდეს?**

— რუსეთი ხალხის დაცვის საბაბით შეიძლება შემოვიდეს და არა მგონია, დასავლეთმა ამის გამო ვენები გადაიჭრას. სწორედ ამიტომ ვერ ბედავს ძალადობას სააკაშვილი. რაც არ უნდა იყოს, მას აქ რუსეთის შემოსვლა არ უნდა, თან პუტინი დაემუქრა, რომ ერთი ადგილით ჩამოჰკიდებს.

**— ე. ი. სააკაშვილი ქვეყნის უსაფრთხოებასა და ხალხზე ფიქრობს?**

— ხალხზე კი არა, თავის თავზე ფიქრობს. თუ ამას იზამს, არც რუსეთი მიიღებს, არც დასავლეთი და ჰააგის ტრიბუნალზე აღმოჩნდება.

**— დასავლეთის პოზიცია როგორია?**

— დასავლეთი ძალიან კარგად ხედავს, რომ სააკაშვილი არის წარსული. ეს არის ჩამოწერილი პრეზიდენტი, რომელსაც უკვე არსად არ იწვევენ. არავის არ აინტერესებს მასთან შეხვედრა.

**— აკი კლინტონს უნდა შეხვდეს ამერიკაშიო?**

— კლინტონის ფონდი ეს არის პენსიონერთა დაწესებულება. გავიდეს პენსიაზე და მერე წავიდეს.

**— იქ თავისით მიდიოდა?**

— მას შეხვედრა უნდა ობამასთან და ადმინისტრაციის წევრებთან, თორემ კლინტონს თუ არ შეხვდა და მონიკა ლევინსკზე არ ელაპარაკა, არაფერი დაშავდება.

იხ. 4 გვ.

◉ ოპოზიცია

# დავით გურაბიშვილი: სააკაშვილი ჩამოწერილი პრეზიდენტია

(მესამე გვერდიდან)

**— რას ფიქრობს დასავლეთი თქვენზე — ოპოზიციაზე?**

— დასავლეთი მეორე მხრივ ვერ ხედავს ოპოზიციაში გარანტირებულ ძალას, რომელიც ხელისუფლებაში მოვა. აქ არის ბევრი ძალა, ვიღაცა არის მისაღები, ვიღაცა არა, მაგრამ გამოკვეთილი არ არის, ვინ მოვა სააკაშვილის შემდეგ.

**— კი მაგრამ, დემოკრატია სწორედ პარტიების მრავალფეროვნებაში არ არის?**

— მე გეუბნებით დასავლეთის პოზიციას. ის დღეს ნეიტრალურია, ჩვენ ეს, ასე თუ ისე, გვაკმაყოფილებს. არჩევნების შემდეგ გადავწყვეტთ, ვინ მოვა ხელისუფლებაში.

პრაქტიკულად, ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთი დღეს ძალიან თავდაჭერილია. მაშინ, როცა 7 ნოემბერს ბუშის ადმინისტრაცია აშკარად სააკაშვილს უჭერდა მხარს, მთელი რესურსით მუშაობდა მისი პოზიციის გასამყარებლად. საერთოდ არ განიხილებოდა სააკაშვილის საპირწონე ძალა.

**— ობამას ადმინისტრაცია რას ფიქრობს?**

— ისინი სააკაშვილს, როგორც პოლიტიკურ ფიგურას, არც განიხილავენ. ის არის პოლიტიკური გვამი. რუსები ამას ხმამაღლა ამბობენ, დასავლეთი ხმამაღლა არ ამბობს, მაგრამ ხანდახან მიანიშნებს ხოლმე.

**— როგორ მიანიშნებს?**

— მეტი რა გინდათ, ჩადის ესპანეთში და არც ერთი ოფიციალური თანამდებობის პირი არ ხვდება. იქ ბარსელონას გუნდში მივიდა და მაისური შეიძინა. საფრანგეთში რესტორანში საჭმელად ჩავიდა, არც პრეზიდენტს შეხვედრია, არც პრემიერ-მინისტრს. არავინ არ ეპატიჟება. უკრაინა გადაიმტერა, არ უშვებს შემთხვევას, არ გალანძღოს. ამერიკაში ძალიან უნდა ჩასვლა და ვერ ახერხებს...

**— რას ფიქრობთ მიმდინარე აქციებზე, კმაყოფილი ხართ? დროში ხომ არ გაიწელა...**

— დროში გაიწელებოდა, აბა რა?! ამას ჩვენ თავიდანვე ვამბობდით.

**— საპროტესტო მუხტი არ განელდება? 9 აპრილის მერე იმდენივე ხალხი არ გამოდის, ყოველი ახალი დღე ვის წისქვილზე მიუშვებს წყალს?**

— შეიძლება ხალხი ხან მეტი მოვიდეს, ხან ნაკლები, ის გადავა რეგიონებში, გაიშლება. ეს ორ დღეში არ მოხდება, მაგრამ „ნერვების ომში“ ჩვენ მას დავამარცხებთ და ვაიძულებთ, წავიდეს. როცა მიხვდება, რომ კონტროლი დაკარგა, წავა.

**— მიხვდება კი, ან მას გაუშვებს თავისი გარემოცვა?**

— ჰო, გარემოცვა სერიოზული ფაქტორია და მას მართლაც შეუშლიან წასვლაში ხელს, თუმცა, თუ სააკაშვილი უსაფრთხოების გარანტიებს მიიღებს უცხოეთიდან, ის ადვილად წავა. ფული ბევრი აქვს, იმოგზაურებს ბევრს, ეს ის კაცი არ არის, რომ საქართველოს სიყვარულმა შეაწუხოს, ამიტომ თუ აქ არა, უცხოეთშიც კომფორტულად იცხოვრებს.

**— როგორც ვატყობ, ოპოზიცია არ მოითხოვს, რომ მან ჩადენილ დანაშაულზე პასუხი აგოს?**

— თუ მას უცხოეთში თავშესაფარი მისცეს, მაშინ ვერაფერს გავხდებით. სამაგიეროდ, მის გარემოცვას მართლაც მოუწევს ყველაფერზე პასუხისგება. ახლა კი ჩვენი მთავარი ამოცანა ამ კაცის გაშვებაა.

მართალი გითხრათ, საკადრო რევოლუციებს არ ვაპირებთ. ჩვენ არ გავუშვებთ საჯარო მოხელეებს იმის გამო, რომ ისინი ხელისუფლების სამსახურში არიან. მთავარია, შევქმნათ დასაქმების პირობები, მაგრამ არა მათი გაშვების ხარჯზე.

**— რამდენად ხელსაყრელ პირობებში მოგიწევთ ხელისუფლების გადაბარება, თუკი ეს ასე მოხდება? გლობალური კრიზისი მოგცემთ ცვლილებების საშუალებას?**

— საქართველოს პრაქტიკულად კრიზისი არ შეხებია. ეკონომიკა ვითარდებოდა კრედიტების ალებისა და ქონების მუდმივად გაყიდვის ხარჯზე. ჩვენი მთავარი ექსპორტია ჯართი, სხვა რამე საექსპორტო პროდუქცია არც გვაქვს. საქართველო პატარა ქვეყანაა, დიდ დახმარებებს ვიღებთ, ამიტომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დიდ სირთულეებს არ გვიქმნის.

**— რეგიონებში რა ხდება? იქ არ არიან ინფორმირებულები...**

— რეგიონებში პრეზიდენტის გადადგომასთან დაკავშირებით პლებისციტი ერთი კვირის წინათ ჩავატარეთ. გამოკითხულთა ორი მესამედი მის გადადგომას უჭერს მხარს. ამიტომ ვაპირებთ იქ ჩასვლას, ფილმების, პრესის ჩატანას და მათ უფრო მეტ ინფორმირებულობას.

**— ბატონო დავით, რატომ გააკეთეთ არჩევანი ირაკლი ალასანიაზე და რად შექმენით მის გუნდთან ალიანსი?**

— მას საკმაოდ კარგი წარსული აქვს. სადაც კი უმუშავია სახელმწიფო სტრუქტურებში, არსად ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ხელისუფლება ძალიან ეცადა, მაგრამ კომპრომატები ვერ უპოვა იმიტომ, რომ პროფესიონალურად მუშაობდა. არის გაწონასწორებული პიროვნება, რომელიც ჰარი-ჰარალედ და ხუშტურებით არ იღებს გადაწყვეტილებებს. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, სადღაც რომ გაივლის, არ იტყვის, ახლა ეს შენობა დაანგრიეთ და შუშის ნაგებობა წამოიჭიმეთო.

**— ასე ამბობს სააკაშვილი?**

— ამბობს კი არა, აკეთებს. ასეთი რამე ალასანიას აზრადაც არ მოუვა.

**— სხვათა შორის, ამბობენ, ალასანია ნანობს თქვენთან ალიანსს და საკუთარ პარტიას ჩამოაყალიბებსო.**

— ეს არის ხელისუფლების მორიგი ჭორი. სხვა საქმე არა აქვთ, თუმცა ეს შეგიძლიათ პირადად ალასანიას ჰკითხოთ და ის გიპასუხებთ.

**— რას იტყვით ბრიგადების შექმნაზე, რომლებმაც მოქალაქეები უნდა დაიცვან, ხომ არ გამოიწვევს ეს კიდევ უფრო მწვავე დაპირისპირებას?**

— პირიქით, რაც ამ დამცავ ბრიგადებზე გაავრცელეს ინფორმაცია და ტელევიზიით გამოცხადდა, შეწყდა თავდასხმები, თორემ თერთმეტ-თორმეტ აპრილს ღამის 9 საათის შემდეგ ძალადობამ პიკს მიაღწია, ოთხმოცი შემთხვევა დაფიქსირდა.

ამ ჯგუფებს იარაღი არაფერში სჭირდებათ. რადგან მათში არიან ისეთი ძლიერი ბიჭები, უიარაღოდაც რომ გაუმკლავდებიან მოძალადეებს.



**— პარლამენტი რომ არ მუშაობს?**

— კი, შეპარულან, ხუთწუთიანი ბიუროს სხდომა ჩაატარეს. ეტყობა გვირაბებით შედიან, რადგან პარლამენტი დაკეტილია. ჯერ რა არის მართლა და მართლა, 7 ნოემბერს მუშაობდა პარლამენტი? მაგრამ ეტყობა, ეშინიათ ბიჭებს, აწუხებთ ხალხის რეაქცია.

სხვათა შორის, 2007 წლის ნოემბრის დღეებში, მახსოვს, მე და თემურ ნერგაძეს პარლამენტში შეგვხვდა გიგა ბოკერია და განაწყენებულმა გვითხრა, რა არის, აქ ხალხი მოდის და იგინებაო. თემურმა უპასუხა, აბა, ეს ხალხი აქ სანდრა ელისაბედ რულოვსის ქველმოქმედებაზე სალაპარაკოდ არ არის მოსული, თუ გაგინებენ, უნდა აიტანოთო.

**— და მაინც, რამდენ ხანს გასტანს აქციები და პარალიზებული იქნება ქალაქი?**

— არ ვიცი, თუმცა ეს, ალბათ, მალე დამთავრდება. ჩვენ ვაიძულებთ სააკაშვილს, წავიდეს, თუმცა არ ვაპირებთ, რევოლუციის მოწყობას.

**— არც ვარდების, ან ტიტების?**

— ჩვენ ეს განზრახვა არ გვაქვს, ამაზე წამსვლელი არ ვართ. 30 კილომეტრში რუსის ჯარი დგას და სისხლისღვრას არ მოვაწყობთ. ჩვენ მშვიდობიანი, კონსტიტუციის ფარგლებში მივაღწევთ მიზანს.

**— ანუ თქვენ გამორიცხავთ იმას, რომ მიშა არ წავა?**

— რა თქმა უნდა, გამორიცხულია, თუ გინდათ, დაგენიძლავებით.

ესაუბრა
**თეა მოსია**

◉ განცხადება

## ვითხოვ სასამართლოში ან პარლამენტში ჩვენების მიცემის საშუალებას

უკანასკნელ დღეებში, სხვა ძირითად მოთხოვნებთან ერთად, აქტუალური გახდა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა მოწოდება ხელისუფლებისადმი — დაუბრუნდეს ტელეკომპანია „იმედი“ კანონიერ მესაკუთრეს (ისევე როგორც „მთაწმინდის პარკი“). ამ მოთხოვნის საპასუხოდ, მთავრობის წარმომადგენლები გამუდმებით იმეორებენ, თითქოს „იმედის“ დაბრუნების საკითხი უნდა განიხილებოდეს, როგორც საოჯახო დავა და მას არანაირი კავშირი არ აქვს ხელისუფლების სურვილთან — დაუბრუნოს ან არ დაუბრუნოს ტელეკომპანია მის დამფუძნებლებსა და კანონიერ მემკვიდრეებს.

2008 წლის 10 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე, მე განვაცხადე თუ როგორ ვითარებაში გასხვისდა ტელეიმედი, როგორი ძალადობრივი მეთოდებით შეძლო ქალაქის მერიამ „მთაწმინდის პარკის“ დათმობის მიღწევა. იმავე დღეს, იძულებული გავხდი, დამეტოვებინა საქართველო.

ის, რაც ამ ორი კომპანიის მიმართ განხორციელდა, იყო ყოველგვარი ნორმის უხეში და დაუფარავი დარღვევა, ძალადობა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება. ეს ფაქტები კარგად არის ცნობილი როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოებისთვის. რა თქმა უნდა, მე არ მქონდა საშუალება, ზემოთ დასახელებულ ბრიფინგზე ძალადობის ყოველ ასპექტს შევხებოდი. უფრო მეტიც, თვეების მანძილზე ვერ შევძელი სარჩელი აღმეძრა სასამართლოში ამ უკანონობასთან დაკავშირებით. არადა, მაქვს კონკრეტული ბრალდებები კონკრეტული თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებმაც არსებითად ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული.

იმისთვის, რომ საბოლოოდ დაესვას წერტილი მთავრობის წარმომადგენელთა თვითნებობას ტელეკომპანია იმედთან და „მთაწმინდის პარკთან“ მიმართებაში, მზად ვარ, დაუყოვნებლივ მივცე ჩვენება სასამართლოს, თუკი ასეთი სასამართლო დაინიშნება. თუ ეს პროცესუალურად დიდ დროს მოითხოვს, ასევე მზად ვარ ჩვენება მივცე საქართველოს პარლამენტის ანტიკრიზისულ საბჭოს, იმ პირობით, რომ დამაჯერებელი არგუმენტების წარდგენის შემთხვევაში, იგი იშუამდგომლებს სათანადო ორგანოების წინაშე დამნაშავე პირების პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

მე არ მოვითხოვ არანაირ გარანტიას ჩემი უსაფრთხოების თაობაზე. ვითხოვ მხოლოდ ერთს — მომეცეს სასამართლოში (ან პარლამენტშიძ ჩვენების მიცემის საშუალება.

გიორგი ჯაოშვილი

◉ ინფორმაცია

### ნატოსთვის მოსკოვის რიტორიკა გაუგებარია

**საქართველოში** ნატოს საწავლება დიდი ხნის წინ დაიგეგმა და ამის თაობაზე რუსეთი თავიდანვე იყო ინფორმირებული. ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა რადიო „ბი-ბი-სი“-ს პირდაპირ ეთერში განაცხადა.

სხეფერის განმარტებით, დაგეგმილი წვრთნები პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში გეგმური სწავლებაა და მისთვის მოსკოვის რიტორიკა გაუგებარია.

სხეფერმა ისაუბრა რუსეთთან არსებულ უთანხმოებაზე, რომელიც საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციასა და ტერიტორიების ოკუპაციას უკავშირდება.

ჩვენ გვაქვს საქმე დიდ პრობლემასთან და ამ საკითხზე რუსეთთან დისკუსია აუცილებლად გაგრძელდება, — აღნიშნა სხეფერმა.

### „ნატოს წვრთნები აგრესორთა მხარდაჭერაა“

**მოსკოვი** საქართველოში დაგეგმილ ნატოს სამხედრო წვრთნებს აგრესორის მხარდაჭერად აფასებს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგეი რიაბკოვმა განაცხადა.

რიაბკოვის თქმით, ნატოს არგუმენტები, რომ საქართველოში წვრთნები დიდი ხნის წინ იყო დაგეგმილი და სწავლება „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში ტარდება, იაფი და არადამაჯერებელია.

არსი ის არის, რომ მიმდინარეობს ქართულ ჯართან ოპერატიული თავსებადობის, მთელი რიგი ამოცანების შემუშავება, რომლებიც ქართული შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალს ამაღლებს. მაგრამ საქართველო აგრესორია და ჩვენ ამ ყველაფერს ვაფასებთ, როგორც აგრესორის სამხედრო და პოლიტიკურ მხარდაჭერას, — განაცხადა რიაბკოვმა.მისივე თქმით, მოსკოვი ასევე შეშფოთებულია იმით, რომ აშშ კვლავ აპირებს საქართველოსთვის იარაღის მიწოდებას.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ეს ჩვენ არ გვაღელვებდეს. ჩვენი აზრით, ეს აშკარა დარღვევაა მთელი რიგი შეთანხმებებისა, მათ შორის — კონფლიქტის ზონებში იარაღის მიწოდების აკრძალვის შესახებ. ამას გულგრილად ვერ მივუდგებით. დიმიტრი მედვედევის მიერ გასულ წელს გაცემული შესაბამისი ბრძანება მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთი აშკარა ფაქტების იგნორირებით შეშფოთებულია — აგრესორის ხელახალი შეიარაღება დაუშვებელია. ეს ვითარების დესტაბილიზაციისკენ პირდაპირი გზაა, — განაცხადა რიაბკოვმა.

### სომხეთისკენ გაზის ტრანზიტი დროებით შეწყდება

**ტექნიკური** სამუშაოების გამო, საქართველოდან სომხეთში გაზის ტრანზიტი დროებით შეწყდება.

როგორც გაზისა და ნავთობის კორპორაციაში განაცხადეს, ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის ერთ-ერთ უბანზე ჩატარებული სამუშაოების შემდეგ მისი მაგისტრალთან მიერთება უნდა მოხდეს. შესაბამისად, ტექნიკური სამუშაობის გამო სომხეთში გაზის ტრანზიტი დროებით შეწყდება.

კორპორაციაში ვარაუდობენ, რომ მეზობელ ქვეყანში ბუნებრივი გაზის მიწოდება 26 აპრილს, დილიდან განახლდება.

ინტერპრესნიუსი

## თავისუფალი აზრის სახლი

# მოლოდინი

მისი სახიდან ღიმილი გაქრა.

თვალებიც თითქოს ჩაუქრა.

სიარული უენერგიო, ზანტი, საუბარი მეტად წინააღმდეგობრივი გაუხდა.

უბადრუკი და უმწეოა ის მწარე სინამდვილის წინაშე.

შიშისაგან თრთის მისი სული და ხორცი, მისი გული და გონება.

მისი მოძრავი ბუნება მუდმივ სიყალბესა და სიცრუეში დაილია,

დაიშრიტა და განიმქვრა.

თავისი მაქსიმის მატარებელი ავზნიანობის, არაკეთილსინდისიერების ლაფში გადაეშვა. (ამას ვამბობ, მაგრამ ჩვენ არ გამოგვადგება ზედაპირულობა თუ ამ ქვეყანას მომავალი აქვს, კვლევა უსათუოდ გაგრძელდება და დადგინდება რა კვებავდა წამხდარ მიდრეკილებათა ფესვებსძ.

შინაგანი წინააღმდეგობებით დაღრღნილი ქვეყნის წყლული ვერ დაიჩინა.

ზეგარდმო მრწამსითა და შთაგონებით მირონცხებული არ გამოდგა.

თავისი ბედკრული სამშობლოს სიყვარულის გზაზე ბედისწერამ არ შეაყენა.

არანაირი დაფიქრება, არანაირი ჭვრეტა სულისა და სინდისისა. არანაირი ეთიკური იმპერატივი! მხოლოდ ცინიზმი, მხოლოდ ზღვარგადასული ინდიფერენტიზმი პიროვნულთან, ეროვნულთან, სოციალურთან, ღვთაებრივთან დამოკიდებულებაში.

## „გვჭამს ჭირთა ჭირი“

ჩივილი, გაუთავებელი თავდასხმები, საჯარო დაპატიმრებები, მკვლელობები, გამოსახლებები, მოულოდნელი ანგარიშსწორებები, მუდმივი ქიშპი, შური, ზიზღი, დაპირისპირებანი...

სიმახინჯით უნივერსალური ეს დამოკიდებულება, ეს უსხივო, პირქუში მწყვდიადი — გაუტანლობის და უსამართლობის ტიპიური პირმშო, ციებისა და ჟრჟოლის მომგვრელი ეს სოციალური „მონუმენტი“ მან ააგო, საქართველოსთვის ერთხელ და სამუდამოდ სახე რომ ეცვალა.

მრავალსაუკუნოვანი კულტურის შემოქმედსა და მატარებელ ერს, ეროვნული თვითშეგნებისა და თვითგამოხატვის ყველა გზა და საშუალება ამოუქოლა. ეკლესიას ბულდოზერი დააჯახა და ვერც შემდგომ მიხვდა, რომ ამით აგური გამოაცალა აღმოსავლეთით ქრისტიანობის ბოლო ფორფოსტის კარიბჭეს.

უთქმელისა და უხილავის ხილულ ხატს, მშვენიერებას (ლიტერატურა, ხელოვნების სხვა დარგებიძ ზურგი აქცია; კომპოზიტორებს სახლი წაართვა, მწერლებს — სასახლე!

მისთვის ლიტერატურა არასოდეს ყოფილა ეგზალტირებული სულიერი ტკბობის საგანი და ამდენად მწერლობისადმი მისი დამოკიდებულება გასაგები უნდა ყოფილიყო, მაგრამ სრული უარყოფა და ნიველირება?!...

მოსპო ქართული მწერლობისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა. უფრო მეტიც, მწერალთა კავშირი ძალით გამოკეტა და ამით ლახვარი ჩასცა იქ დასადგურებულ ქართულ შემოქმედებით ძალას. დიდ ქართველ მამულიშვილთა ნაანდერძევი შენობიდან ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ივანე მაჩაბლის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვასილ ბარნოვის, კონსტანტინე გამსახურდიას, ომში დაღუპული ჭაბუკი პოეტების სული და ორანი გამოაძევა.

ისტორია ამას ყოველთვის შეახსენებს მას, რადგან სამყაროს შემქმნელზე და მომწესრიგებელზე — **სიტყვაზე** თქვა უარი. დაბადებას წინ სიტყვა უზის, რომ მერე ადამიანმა იცოცხლოს მასში და არა მის გარეთ.

არ იცოდა? — ცუდია!

შეგნებულად გარეთ გადგა? — უფრო ცუდი!

„სიტყვა ვინაც გულიდან ამოიგდო, მან სიყვარული ამოიგდო. ვინაც გულიდან სიყვარული ამოიგდო, მან სინათლე ამოიგდო, სიკეთეს განუდგა — სინათლეს და სიკეთეს და დაკარგა დასაბამიც...

ასე გვასწავლიდნენ და გვასწავლიან წმინდა მამები. ეს არის დასავლური დემოკრატიის, თანასწორობისა და სამართლიანობის უწინარესი საფანელი, მისი მარადიული მერწყული. სათნოება და არა ამპარტავნება, სიკეთე და არა ბოროტება!

თითქოს აღარც ყოფილა ძველი დიდებანი, — დაღვრილი სისხლი და სისხლის ნიაღვრები, სიმაღლეები, სახელები, სახეები. ყველაფერი თითქოს ფერფლად და არავად ჩაბრუნდა, ჩაირეცა, ჩაიწვა და ჩაინაცრა. საქართველოს თითქოს არც ვაჟა ჰყოლია და არც რუსთაველი, არც საბა და არც გურამიშვილი, არც აკაკი და არც ილია. საქართველოს არც თეატრი ჰქონია და არც კინემატოგრაფი, არც ქანდაქარი ჰყოლია და არც მხატვარი; არცა რამე ძეგლი უდგას სადმე და არცა რამე ციხე...



2003 წლის 23 ნოემბერს საქართველო უწარსულო ქვეყნად ცხადდება.

ტელეეკრანებიდან გაქრა ქართული კინო და სპექტაკლი, ქართული ლექსი. „ღმერთო, მიშველე, მორღვევია წარსულს ბურჯები“ — ივედრება პოეტი, მაგრამ ჯერ კიდევ ღიაა მწერალთა კავშირი, ჯერ კიდევ იმართება სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურული შეხვედრები და პოეზიის საღამოები, ადამიანები ჯერ კიდევ თავს აფარებენ ლიტერატურის სიდიადეს და გაურბიან სასოწარკვეთას.

**„ღმერთო, მიშველე,**
**ისტორიას ახლად იწყებენ,**
**სუფთა ფურცლებზე აღარცერთი**
**ხვდება სიძველე;**
**ცვლიან ყველაფერს,**
**უარყოფენ მთელი არსებით,**
**მათთვის არრარა აღარ არის**
**წმინდად ნაგები;**
**ო, ფერნაცვალო სინამდვილევ,**
**ყარხარ მძორივით,**
**გჭამს ჭირთა ჭირი, ძველის**
**სნება თანდაყოლილი“...**

მაგრამ აქ არაფერი ჩერდება, წინააღმდეგობის ტალღა იზრდება, მწერლობა ხელისუფლებას განუდგა.

**„ბრძენის მოსასხამს უმეცარი,**
**ირგებს რეგვენი,**
**სხიათ მანტია წმინდანების**
**დღეს დამაქცევართ,**
**ღმერთო, მიშველე,**
**სამშობლოდან არ მსურს**
**გაქცევა —**
**ბარიერები აღმიმართე —**
**ოთხივ კედელი“!...**

ო, ეს გაუსაძლისი, უბადრუკი ყოველდღიურობა, ეს გაუთავებელი დაცინვა, ქილიკი და დაპირისპირება; ო, ეს ხელახლა განუკითხაობაში გადაქანებული ქვეყანა თავისივე უმეცრებითა და შემგუებლობით, უძლები შვილების სიმრავლითა და გილდიებით, თავზე ხელაღებული პოლიციელებით...

ცხოვრება საძაგელ გუბედ იქცა და მისი სიმყრალე გულს ურევს ადამიანებს. ნიჭიერებს სამსახურებიდან მასობრივად ერეკებიან; განსხვავებული აზრის მქონე, შეურიგებელი ინტელექტუალები იდევნებიან, კათედრებს ახლად გამოჩეკილი მეცნიერები იკავებენ, ან სრულიად შემთხვევითი, რევოლუციურ ტალღას მოყოლილი ადამიანები.

ქართული უნივერსიტეტი არ ნებდება. პირველი კორპუსის წინ ტარდება მიტინგები, პარალელურად, ზედიზედ უქმდება დიდ ქართველ მეცნიერთა სახელობის კაბინეტები და ლაბორატორიები; სასწავლო ბადეს გარეთ რჩებიან ცნობილი პროფესორები და აკადემიკოსები.

რევოლუციის დაკვეთა სრულდება, თუმცა... მთლად ზედმიწევნით — არა! დედა უნივერსიტეტის დერეფნებსა და აუდიტორიებში ხუნვეიბინები არ გამოჩენილან.

დიდება უფალს, რომ ფანჯრებიდან გადმოყრილი მხრცოვანი ადამიანების ყურებით არ დაგვსაჯა.

მფრთხალი, დაშინებული, გალურსულ — გაყურსული, ბუნებრივია, ქვეყანა სულ ვერ იქნებოდა. საზოგადოებამ გამოღვიძება, განსხვავებული შეხედულებების ყურისგდება, ყალბისა და ნამდვილის გარჩევა დაიწყო. დამცირებულმა და შეჭირვებულმა, გაწბილებულმა და ღირსებაშელახულმა ქართველმა კაცმა თვალში გამოიხედა და ჟრჟოლისა და ციების მომგვრელ პირქუშ სოციალურ „მონუმენტს“ ალება დაუპირა, მაგრამ საზოგადოების მოწინავე ნაწილი ამ განზრახვას წინ აღუდგა. ახალი ხელისუფლება კიდევ ერთხელ საქართველოში რევოლუციურ ტალღაზე არ უნდა მოსულიყო.

არადა, ჯერ კიდევ წინაა სამარცხვინო 7 ნოემბერი; წინაა, სამარცხვინო ომი, განადგურებული სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურა, ასი ათასობით ახალი დევნილი და გაპარტახებული ქართული სოფლები, წინაა ამერიკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთი შეხედვით ყოვლად უადგილო რჩევა საფრანგეთის პრეზიდენტისადმი — „იქ რა გინდა, თბილისში ნუ ჩახვალ“... წინაა ხელისუფლებისაგან დამარცხების გამარჯვებად მონათვლის არაერთი მცდელობა და ძალზე გულსაკლავი — ეთნოანკლავების სახელმწიფოებად აღიარება.

იხ. 6 გვ.

## თვალსაზრისი

# დიალოგი ამ ხელისუფლებისთვის ნიშნავს „ტუსოვკას“ თავის მხარდამჭერებთან

(მეორე გვერდიდან)

ვერანაირ პრობლემას ვერ დაძლევს ქვეყანა, თუ მის ხელისუფლებას არ აქვს ხალხის ნდობა. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა, რომელიც ძალიან რთული განსახორციელებელი აღმოჩნდა ჩვენში.

**— დავუშვათ და, გადადგა სააკაშვილი. შემდეგ რას აპირებს ოპოზიცია? რას უპასუხებდით ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც აცხადებენ, რომ არ ხართ ერთიანი და ქვეყნის მოწყობაზე ერთიანობაზე წარმოდგენა არ გაქვთ?**

— ხელისუფლების წარმომადგენლებმა უმჯობესია გაგვახსენონ: თვითონ ერთხელ მაინც თუ წარმოადგინეს ქვეყნის მოწყობის რაიმე პროგრამა? პარლამენტში ყოფნისას სულ ამას აღვნიშნავდი, რომ პარლამენტის წევრები ვერ ვეღირსეთ რაიმე ასეთ დოკუმენტს. ამ მხრივ ოპოზიციაში გაცილებით უკეთესადაა საქმე.. ჩემი მეგობარი ხუმრობს ხოლმე: საქართველოს მართვას სჭირდება 100 წესიერი განათლებული ადამიანიო. ამ ხუმრობაში არის სიმართლე. ხელისუფლებაში წესიერი და განათლებული ადამიანების ერთობაა მთავარი საფუძველი ქვეყანაში ნორმალური მდგომარეობის მისაღწევად. ერთობა არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ერთ ხმაში ვლაპარაკობდეთ. ვიცნობ ამ ხელისუფლებაში და ოპოზიციაში მყოფთაც და ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ოპოზიციაში მყოფნი რაიმენაირად ჩამოუვარდებიან ხელისუფლებაში მყოფთ ინტელექტუალურად, ხოლო ზნეობრივად და მამულიშვილობით კი ნამდვილად აღემატებიან.

რაც შეეხება ქვეყნის მოწყობას, საზოგადოდ, ველოსიპედის გამოგონება საჭირო არაა. მსოფლიოში არსებობს მრავალი აპრობირებული მეთოდი ჩვენნაირი ქვეყნების მართვისა. სააკაშვილის გადადგომის შემდეგ ინიშნება ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, შემდეგ შესაბამისი საარჩევნო კანონმდებლობით ტარდება საპარლამენტო არჩევნები.

თითქმის ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ ორგანიზაციას აქვს თავისი ხედვა ქვეყნის მოწყობის, ეკონომიკის მართვის, განათლების, სოციალური პოლიტიკის და ა.შ. მაგალითად, ჩემი პოლიტიკური ორგანიზაციისა და ჩემი პოლიტიკური პარტნიორებისთვის საპარლამენტო რესპუბლიკა საუკეთესო ვარიანტია მმართველობისა, დამუშავებული გვაქვს დეტალური პროგრამა. პარლამენტში არჩევის შემთხვევაში, შევთავაზებთ ჩვენს პროექტს კოლეგებს, სხვებს აქვთ თავისი ხედვა და სწორედ სამართლიანი არჩევნების შედეგად, მრავალპარტიულობის შემთხვევაში, მიიღწევა საუკეთესო გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილი იქნება საყოველთაო განხილვისთვის, და ეს არის ნორმალური მართვა. მე, როგორც ფსიქოლოგს, რომელიც ვმუშაობ გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებზე, შემიძლია განვაცხადო, რომ გაცილებით უკეთესი გადაწყვეტილება მიიღება, როცა არის აზრის სხვადასხვაობა, ვიდრე როცა ერთპიროვნულად ხდება გადაწყვეტილების მიღება, რაც არის ამ ხელისუფლებისთვის მართვის ჩვეული სტილი და რამაც არაერთი უბედურება მოუტანა ჩვენს ქვეყანას, რაც აგვისტოს ომით დაგვირგვინდა.

**—რამ განაპირობა რადიკალიზმი, იმან, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას აღარ ენდობა და დიალოგის არ სჯერა?**

—ხომ ვხედავთ, როგორ მიდის ეს საპროტესტო აქციები, ამდენად, რაიმე საუბარი ოპოზიციის რადიკალიზმზე არასწორია. ოპოზიციას რომ ხელისუფლების არ სჯერა, ესაა ოპოზიციის პრაგმატული გამოცდილება ხელისუფლებასთან ურთიერთობისა. ოპოზიციას ძალიან კარგად ახსოვს, როგორ დამთავრდა შარშან ოპოზიციისთვის ხელისუფლებასთან დიალოგი, როცა ხელისუფლებამ სულ უბრალოდ მოატყუა ოპოზიცია და უამრავი მისი მხარდამჭერი.

დიალოგი არაა მხოლოდ დაჯდომა და საუბარი, რასაც ხელისუფლება აცხადებს. ის თემები, რასაც ხელისუფლება დიალოგისთვის აცხადებს, ხელისუფლების მოვალეობაა, აქამდეც უნდა მოეგვარებინა და ახლაც შეუძლია თავის ჯიბის პარლამენტთან ერთად ოპოზიციასთან უდიალოგოდაც სასწრაფოდ მიიღოს და განახორციელოს, იქნება ეს რეალური ბალანსის აღდგენა ხელისუფლების შტოებს შორის, სასამართლოს დამოუკიდებლობა, მედიის თავისუფლება და სხვა. მაგრამ დიალოგზე ლაპარაკის იქით ხელისუფლების აქტივობა არ მიდის. ბაქრაძემ განაცხადა, რომ თურმე მთავარია დიალოგი საზოგადოებასთან და ამ საზოგადოებას სასტუმრო „შერატონ მეტეხში“ შეხვდა. ვინაა ეს საზოგადოება — ხელისუფლებასთან შეხმატკბილებული საზოგადოება, რომელსაც ორმხრივად საჭირო და სასარგებლო ურთიერთობა აქვს ამ ხელისუფლებასთან.: ხელისუფლების წყალობას იღებენ, სამაგიეროდ საჭირო შემთხვევაში აქებენ. გინახავთ როდესმე რომელიმე მათგანისგან ამ ხელისუფლების რაიმე კრიტიკა? დავიჯერო, ასეთი იდეალური ხელისუფლება გვყავს (სხვათა შორის ეს ადამიანები ასევე შეხმატკბილებული იყვნენ სხვა ხელისუფლებებთანაცძ? ასე რომ, დიალოგი საზოგადოებასთან ხელისუფლებისთვის ნიშნავს „ტუსოვკას“ თავის მხარდამჭერებთან მსახიობებთან, მომღერლებთან. რა შუაშია ეს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კრიზისთან? პოლიტიკური კრიზისის განტვირთვა, წესისამებრ ხდება პოლიტიკოსთა მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებით.

როგორც ხელისუფლება ამბობს, ცივილიზებული პოლიტიკა თურმე გულისხმობს დიალოგს: ამ ხელისუფლებას შეიძლება ჰქონდეს რაიმე პრეტენზია ცივილიზებულობაზე? ან როგორი ცივილიზებული არჩევნებითაა მოსული, ან რამდენად ცივილიზებულად ეპყრობა თავის მოსახლეობას. მე ვთვლი, რომ ამ ხელისუფლებასთან შედარებით ჩვენი ოპოზიცია და მოსახლეობა სწორედაც რომ ძალიან ცივილიზებურად იქცევა და პროტესტის სწორედ რომ ცივილიზებულ და არა აგრესიულ ფორმებს მიმართავს. სწორედ ასეთი თანამიმდევრული და მშვიდობიანი, ცივილიზებული ბრძოლა საქართველოს მოსახლეობისა (და არა მხოლოდ ოპოზიციისაძ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის უსათუოდ მოიტანს სათანადო შედეგს.

**ესაუბრა**
**თამარ შაიშმელაშვილი**

გლობუსი

# საკუთარ თავთან დიალოგი უნაყოფო იქნება

**INSANE ნაციონალების მშობლიურ ინგლისურზე სულით ავადმყოფს, გადარეულს ნიშნავს. ნაციონალთა და მათ გულშემატკივართა ხუთწლიანი ძალისხმევით მთელი საზოგადოება insane-ს დაემსგავსა. სადაც სიდინჯეა საჭირო იქ იცინის, სადაც უნდა გაიცინოს, ტირის, სადაც უნდა იმღეროს, იქ დუმს. მღერის და ცეკვავს, იქ, სადაც მიუღებელია. გასული წლის 12 აგვისტო მაქვს მხედველობაში, როდესაც გონდაკარგულმა ქართველობამ პარლამენტის წინ ისეთი ზარზეიმი მიაწყო რაიხსტაგის აღებას, რომ დაამშვენებდა. მაშინ იქ მყოფმა ხალხმა სამშობლო და პირველი პირი გააიგივა, რითაც მომხდურს დაანახა, რომ სამშობლო და მისი პირველი პირი ერთი ცნებაა. ამ „ზეიმიდან“ ერთი თვის შემდეგ, მასში მონაწილეთა დიდ ნაწილს, კარდინალურად განსხვავებული მოსაზრება მოექალა. მათ, ხელისუფლების მიერ 8 აგვისტოს გადადგმული ნაბიჯი insane-ობით, ხოლო საკუთარი ცეკვა-თამაში არაადეკვატურობით შეაფასეს. სამწუხაროდ, დაშვებული insane-ბის გამოსწორება შეუძლებელია, თუმცა იქ მყოფთაგან ბევრი ცდილობს ამას, ახლა უკვე პირველის საწინააღმდეგოდ გამართულ მიტინგზე.**

მომიტინგეთა და მიტინგის ორგანიზატორთა მხრიდან თვალშისაცემია შეუპოვარი განცხადებები პირველის გადადგომის მოთხოვნით. ოპოზიციის მხრიდან მსგავსი, ნაკლებად შეინიშნებოდა გასული წლის მიტინგზე. რასაც ვერ ვიტყვით მომიტინგეებზე, ისინი უწინდებურად თანამიმდევრული არიან და იმედოვნებენ, რომ ამჯერად მაინც ოპოზიცია დანაპირებს არ გადაუხვევს. ათდღიანმა მიტინგმა, მისმა მრავალფეროვნებამ (პრეზიდენტის რეზიდენციასთან და საზოგადო ტელევიზიასთანძ დაარწმუნეს საზოგადოება მოახლოებული წარმატების რეალობაში, რაც ხელისუფლებას სერიოზულად აფიქრებს. საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის მოსალოდნელი დისკომფორტის მაუწყებელია მომიტინგეთა მოწოდებები პირველის გადადგომის თაობაზე. მან კარგად იცის, პირველის წასვლა მისი კომფორტული ცხოვრების დასასრული იქნება, ამიტომაც აცხობს ახალ-ახალ სადიალოგო წინადადებებს. ხელისუფლებას არც საპარლამენტო „ოპოზიცია“ ჩამორჩება. მასაც იგივე თავსატკივარი, კომფორტულობასთან განშორება ანაღვლებს. ისიც მრავალპუნქტიან სადიალოგო წინადადებებს ამზადებს და რატომღაც დარწმუნებულია საკუთარ გამჭრიახობასა და სიბრძნეში. როგორც ჩანს, ამერიკულ პოლიტიკურ ოყნას მაგიური ძალა აქვს. ეს ის პოლიტიკური პროცედურაა, რაზეც ცინიკურად მიანიშნებდა ბატონი ვალერიან ადვაძე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში. მართალია სტატია ნაკლებად ეხება საპარლამენტო „ოპოზიციას“, ის ქუჩაში მყოფი ოპოზიციისათვის არის გამიზნული, მაგრამ ზუსტად ასახავს ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის ვაშინგტონის მნიშვნელობას. „ოპოზიციონერების მცდელობა, აქციებით გადააყენონ სააკაშვილი, თუ ეს აშშ-ს ხელმძღვანელობასთან არ არის შეთანხმებული, გაუგებარია“ – წერს ბატონი ვალერიანი.



საქართველოს მიერ განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარე ძნელია არ დაეთანხმო ბატონ ვალერიანს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დღევანდელი მიტინგის მთავარი დამახასიათებელი სწორედ ის არის, რაც საკუთარი ცხოვრების, საუკთარი ძალებით მოწყობას ნიშნავს. ეს კი თავისთავად გამორიცხავს ვაშინგტონის მიმართ აქამდე არსებულ უყოყმანო მორჩილებას. ცვლილებაა მიტინგის ორგანიზატორთა მიდგომებშიც. მათი გარკვეული ნაწილი მომიტინგეთა მოსაზრებას იზიარებს, ყოველ შემთხვევაში მომიტინგეებს სურთ, რომ ასე იყოს. ფერისცვალება შეინიშნება და მას გაღრმავება ესაჭიროება. სხვისი ამ შემთხვევაში ამერიკული კარნახით აშენებული ცხოვრება ისეთივე მიუღებელი უნდა იყოს თავმოყვარე ერისათვის, როგორც მანამდელი. თუ უწინდელს, მიზეზთა გამო, თითქმის საუკუნე შეელია, ახალმა, თითზე ჩამოსათვლელ წლებში შეძლო საკუთარი „სიკეთეების“ გამომზეურება – ერთობ განსხვავებულის და მიუღებლის ქართული სულიერებისათვის, მაგრამ მიღებულის და მშობლიურის ხელისუფლებისათვის.

ხელისუფლებას სხვა შეხედულებები აქვს, რაზეც სააკაშვილი მოურიდებლად საუბრობს უცხოურ პრესაში. მისი გულდაწყვეტილი განცხადებებიდან ჩანს ობამას ადმინისტრაციის ზერელე დამოკიდებულება სააკაშვილისადმი. მისი ნათქვამის მიხედვით, ბუშის ადმინისტრაციას თურმე სხვა ფასეულობები ჰქონია. მაინც რა ასეთი ძვირფასი „ფასეულობა“ აღმოაჩინა სააკაშვილმა ბუშის ადმინისტრაციაში? ის ხომ არა, რაც ამჟამინდელმა გამოაქვეყნა? ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებმა კატეგორიულად მოსთხოვეს ობამას ადმინისტრაციას გამოექვეყნებინა გუანტანამოს ციხეში მყოფებზე წამების შუასაუკუნოებრივი მეთოდების ფაქტები. ეს ის „ფასეულობებია“, რომლებიც მთელ მსოფლიოს, გარდა სააკაშვილისა და მისი გუნდისა, სერიოზულად აშფოთებს.

**სააკაშვილის უცხოურ ინტერვიუებში დამცინავად მოიხსენიება მიტინგები და მასში მონაწილენი. სამსახურებიდან გაყრილი უკმაყოფილო ბრბო, კორუფციასთან ბრძოლის შედეგად დათხოვილი პოლიციელები ანუ კორუმპირებულები და სხვა. სააკაშვილი დაბეჯითებით ცდილობს უცხოელ მკითხველს თავი მოაჩვენოს კორუფციასთან შეუპოვრად მებრძოლ რაინდად, რომელსაც ყველა მხარს უჭერს, გარდა პარლამენტის წინ მდგომი მცირერიცხოვანი ბრბოსი. დამერწმუნებით ალბათ ასეთ დროს ძნელია დიალოგზე ფიქრი. ხელისუფალი, რომელიც მომიტინგეებს ერთობ „დელიკატურად“ მოიხსენიებს, ვერ განაწყობს მომიტინგეებს დიალოგისთვის.**

სიტყვა „დიალოგი“ სისტემატურად ტრიალებს პოლიტიკურად დამუხტულ ატმოსფეროში. სიტყვა „დიალოგი“ ისმის ტელე-რადიო ეთერიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან, „დიალოგის“ მოწოდებით გამოდიან სააკაშვილის წყალობით დაფრთიანებული კონფორმისტი ექსპერტ-პოლიტოლოგები, ე. წ. „ცნობადი სახეები“, სწორედ ისინი, ვინც ხელისუფლებასთან ერთად, თანამიმდევრულად ანგრევდა და ანგრევს ყოველივე იმას, რაც ერმა მრავალი ასეული წლის განმავლობაში წამებით, ტანჯვით, სისხლით და ოფლით შექმნა. სააკაშვილის მიერ შობილი ახალი კლასი ბოსის და საკუთარი თავის გადასარჩენად მიმართვას-მიმართვაზე შტამპავს – „დიალოგი“. მისი მიზანი – საზოგადოების დაშოშმინებაა, ვითარებასთან შეგუების მოწოდებაა, უსიტყვო მორჩილებაა იმისადმი, რაც არის. მათი აზრით ხვალინდელ, მათთვის გაურკვეველ ვითარებას (სააკაშვილის შემდეგ არა მგონია ისინი „ცნობადებად“ დარჩნენძ ნამდვილად სჯობს დღევანდელი, ბრაის-სემნებებით დამშვენებული „სტაბილურობა“.

„ახალა მთავარი ამოცანაა ამ კრიზისიდან საქართველო წინგადადგმული ნაბიჯით გამოვიდეს. აუცილებელი არ არის ეს იყოს გიგანტური ნაბიჯი. ერთი ნაბიჯიც თუ იქნება გადადგმული წინ, ჩემი აზრით, ეს უკვე ძალიან კარგი იქნება“ – აცხადებს ზურაბ აბაშიძე. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რას ნიშნავს „გიგანტური“ ან „ერთი ნაბიჯი“? **ჩემი გაგებით „გიგანტური“, ალბათ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნაა, „ერთი ნაბიჯი“ კი ის უმნიშვნელო სადიალოგე ნუსხა, რომელიც საპარლამენტო „ოპოზიციის“ ლიდერის ჭკუის ჭყლეტის ნაყოფია, გარე ოპოზიციამ რომ სასაცილოდ აიგდო. ვეჭვობ ასეულ-ათასობით მომიტინგეს მხოლოდ „ერთი ნაბიჯი“ აკმაყოფილებდეს. მათი მოთხოვნა კატეგორიულია, „გიგანტურია“ და ვერაფრით ჩაჯდება „ერთში“, მით უმეტეს, როდესაც ასეთი არა ერთი ნაბიჯი გადაიდგა მისი მხრიდან, ხოლო ხელისუფალთა მხრიდან – არც ერთი. დიალოგის „მოსურნე“ ხელისუფლება მიტინგის ტემპერატურის მიხედვით ისვრის სადიალოგე წინადადებებს, რომელთა არსი დროის გაწელვაზეა გათვლილი, ანუ – 2013 წლამდე. 2013 წლამდე ქვეყნის სათავეში მყოფნი რა insane-ბას გამოავლენენ ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. ამის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილი მაგალითიც კმარა.**

სტოკჰოლმის მსოფლიო პრობლემების კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტმა 2009 წლის მსოფლიო ქვეყნების სამხედრო ხარჯების მონაცემები გამოაქვეყნა. დოკუმენტის მიხედვით ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში სამხედრო მშენებლობა მნიშვნელოვან თანხებს გლიჯავს ქვეყნის ბიუჯეტს და ამას ადგილი აქვს გაგანია ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ამ დარგში პირველობას ვერავინ შეეცილება საქართველოს, რომლის 2008 წლის სამხედრო ბიუჯეტი ეროვნული პროდუქტის 5 პროცენტს შეადგენდა, ანუ ერთ მილიარდ დოლარს. 2004-დან 2008 წლამდე საქართველომ 10-ჯერ გაზარდა სამხედრო ბიუჯეტი. მაშინ ანალიტიკოსები აცხადებდნენ, რომ საქართველო ომისათვის ემზადებოდა, რასაც ჰქონდა კიდევაც ადგილი. მიუხედავად ომში დამარცხებისა, საქართველოს სამხედრო მადა არ შემცირებულა, რაზეც შემდეგი ციფრებიც მეტყველებს – 2009 წლისათვის ეროვნული პროდუქტის 4,4 პროცენტი, რეკორდული მაჩვენებელია არა მარტო დსთ-ში, არამედ ევრაზიის კონტინენტზე. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილის რეჟიმი უარს არ ამბობს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართ რევანშისტული გეგმების განხორციელებაზე, წერს სტოკჰოლმის კვლევის ცენტრი.

**ქართული არმიის შეიარაღებასთან დაკავშირებით ხელისუფალთა „პატრიოტულ“ მოწოდებებს სახელისუფლებო ექსპერტების ომახიანი ხმაც უერთდება, მაგრამ რა მოიტანა „ძლიერმა“ არმიამ გასულ აგვისტოს, დაუვიწყარია, ისევე, როგორც თავდაცვის ყოფილი მინისტრის ოქრუაშვილის სიტყვები, სამხედრო საქმისათვის გამოყოფილი ფულის არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით.**

ასეთ ვითარებაში საზოგადოებამ ექსპერტთა კარნახის გარეშე უნდა გადაწყვიტოს თუ რომელი ნაბიჯი გადადგას – გიგანტური თუ „ერთი“.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

თავისუფალი აზრის სახლი

# მოლოდინი

(მეხუთე გვერდიდან)

ხელისუფლებაში „ჩეგევარიზმის“ შარავანდედი გაქრა. მისი ადგილი დარდმა და ნაღველმა დაიჭირა...

სამწუხაროდ, ხელისუფლების შეცდომებს დღესაც თვლა არა აქვს და ამაზე საუბარს არ გავაგრძელებ, მით უმეტეს, როდესაც ქუჩის ყველა მოსახვევში ისინი – ეს შეცდომები – აკერიათ პირზე და ამათ მიერ წახდენილის, გაფუჭებულ-განადგურებულის ჩამონათვალის მეტს გაზეთებშიც რას ნახავს კაცი.

ღრმა სოციალურ და პოლიტიკურ თხრილში გვიკრეს თავი. ვითარება იმდენად მძიმეა, რომ მას ვერც ხელისუფლებიდან სააკაშვილის ჩამოცილება შეცვლის. ღრმა სისტემური კრიზისისა და ეკონომიკური კრახის პირობებში ერთი უღლეური ავტოკრატის სავარძელს, დროებით, მაგრამ მეორე დაეპატრონება, ან სხვა მესამე ჯერჯერობით უჩინარი ძალის წარმომადგენელი, რომელიც არსებულზე მეტად უსამართლო და სასტიკი იქნება.

ხელისუფლების პირისპირ მრგვალ მაგიდასთან გაძლება წარმოუდგენლად ძნელია, მაგრამ დიალოგი სამწუხაროდ, უალტერნატივოა.

ვაჭრობა დროს წაიღებს. ამასობაში შესაძლოა მღელვარებამ საერთო სახალხო ხასიათი მიიღოს და ყველამ ერთად წავაგოთ.

თუმცა... არსებობს კი მზაობა თავისუფალი, გახსნილი და გულწრფელი დიალოგისთვის?

### ბოლო თქმის მაგიერ

– თუ თავისუფლებაა, რა საჭიროა „თავისუფალი აზრის სახლი“? – ჩვეული რიტორიკით კითხვას სვამს ჯანსუღ ჩარკვიანი და თავადვე უპასუხებს: ვაგლახ რომ საჭიროა, ვაგლახ, რომ ლამის ძირი გაუვარდეს სამართლიანობისა და სიკეთის, სათნოებისა და დანდობის საწყაოსო.

მართლაც ჰაერივით, წყალივით, პურივით, სანთელივით საჭირო „თავისუფალი აზრის სახლი“!...

ზედ ვერაზე,

პარლამენტთან და კანცელარიასთან ერთი ხელის გაწვდენაზე, ერთ გასეირნებაზე!...

რათა:

ხელისუფლებას იმდენჯერვე შეახსენოს რამდენჯერაც იქნება საჭირო, რომ ტყუის, რომ მის მხარეზე არ არის სამართლიანობა.

„თავისუფალი აზრის სახლი“...

ამ ძვალ – კანა, ათას მეხთატეხა გამოვლილ ქვეყანაში, ეს ხელახლა სამართლიანობისა და თავისუფლებისთვის დაწყებული ომი, ახალი იმედები და მოლოდინი... ეს, უშიშარი, განათლებული თაობების ერთობა, ერთ უღელში შებმული ყმაწვილები და კაცობაში შესულები, ჭარმაგები და აწ უკვე სიბერისკენ მიდრეკილები...

აქეთ დგანან, სადაც ილია და „ილიელებია“, სადაც ტკივილის სათავე სამშობლოა, სადაც თითოეული ქართველის ქცევა, უწინარეს გულისწვას – მამულის ბედსა და მდგომარეობას ეთანადება.

ილიამ ცარსკოე სელოში, ეკატერინე დადიანის სახლში წაიკითხა პირველად „ბედი ქართლისა“. მთელი კვირა შთაბეჭდილებიდან ვერ გამოვიდა, თავისთვის ხმადაბლა იმეორებდა ცალკეულ სტროფებსა და სტრიქონებსო, – იგონებს კოხტა აფხაზი.

ილია დროზე ადრე გამოემგზავრა პეტერბურგიდან. გზად ლელთღუნია შეიხვედრა და დანაწევრებული, გაფანტული ტკივილი ერთ დიდ საზოგადო ტკივილად აქცია. ჩვენს სულიერ და მატერილურ ქმედითობას ძალა შთაბერა, ფიქრსა და ოცნებას კალაპოტი მოუნახა, იმდენი გვანჯღრია, რომ ის მყრალი გუბე დაგვანახა, რომელსაც, როგორც თავად ბრძანებს „ცხოვრებას ეძახდა ქართველი კაცი“...

მე ილიელი ვარ, სიამაყით იტყვის თამაზ კვაჭანტირაძე...

მისი თაობიდან ეს ორდენი ბევრს ეკუთვნის, ზოგადად ქვეყანაშიც საბედნიეროდ ბევრია ილიელი, მაგრამ ილია – არა! აი ის კაცი, ჩვენს ძალასა და ღონეს, ჩვენს ნიჭიერებასა და ღირსებას არხს მოუძებნიდა, თავკერძოობის უღლეური ხუხულებიდან რომ გამოგვრეკავდა და მოვალეობის გრძნობას გაგვიათმაგებდა.



არადა საამისო მოლოდინი სულ იქნება.

ამ მოლოდინს ვერ წარხოცს ხელისუფალთა მიერ მოვლენათა ვერანაირი მისტიფიცირება, ქილიკი და დაცინვა, ეროვნულ ფასეულობათა და ღირებულებათა გაბიაბურება.

ამ მოლოდინით ცხოვრობს საქართველო, და აწ უკვე მისი თანმდევი, მარადიული თანამგზავრი „თავისუფალი აზრის სახლიც“, რომელიც მზადაა სრულიად უანგაროდ დაუთმოს დაპირისპირებულ მხარეებს დარბაზი და ითამაშოს მედიატორის როლი. თუმცა... ჩვენში დიალოგს შევარჩინეთ კი პირვანდელი ხიბლი, ბრწყინვალება და შინაარსი?...

**ბადრი ცირამუა**

# დღევანდელი რუსეთი: პუტინი, კაპიტალი, კორუფცია...

## ისევ „მეტეხელ“ პუტინზე

ამბობენ...

დასახელებული რუსულ-გერმანული კომპანიის უკანონო ქმედებებზე 2000 წლის მაისში ინფორმაცია პირველად ფრანგულმა გაზეთმა „Le Monde“-მ გამოაქვეყნა. ამასთან, ინფორმაციის ავტორი წიგნის „განგსტერები აღმოსავლეთიდან“ ავტორს იურგენ როტას აფრთხილებდა დიდ საშიშროებაზე, რომელიც მას მოელოდა, თუ ამ ფაქტზე საკუთარ გამოძიებას დაიწყებდა, რადგან „ისინი (პუტინი, გრეფი და მათი გარემოცვაძ ძველი და დღესაც მოქმედი კაგებეშნიკები არიანო“.

ამ კომპანიის საქმეებმა 2003 წლის აგვისტოში ერთხელ კიდევ ააფორიაქა გერმანულ-რუსული სამთავრობო სტრუქტურები. კერძოდ, როგორც გერმანული „ბერლინერ-ცეიტუნგი“ 2003 წლის 27 აგვისტოს იტყობინებოდა, იმავე წლის 13 აგვისტოს, დილით, გერმანიის კრიმინალური უწყების თანამშრომლებმა კვლავ ფულის „გათეთრების“ ბრალდების მოტივით შტურმით აიღეს კომპანიის გერმანული ოფისი (ქ. ჰესენშიძ, რის შესახებ პირადად კანცლერ გერხარდ შრედერს მოახსენეს. გერმანიიდან ასევე დაურეკეს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროშიც, რადგან კომპანიის საქმიანობის დაწყებულ გამოძიებას შესაძლოა მძიმე დიპლომატიური შედეგი მოჰყოლოდა: იგი ეხებოდა ადამიანებს პრეზიდენტ ვ. პუტინის გარემოცვიდან, რომლებიც კომპანიაში საქმიანობდნენ და სანკტ-პეტერბურგში ერთ-ერთი დიდი მაფიოზური კლანის – „ტამბოვის ჯგუფის“ წევრები იყვნენ. ავტორი წიგნისა „განგსტერები აღმოსავლეთიდან“ მიუთითებს, რომ ეს დაჯგუფება ვ. პუტინთან დღემდე ინარჩუნებს ურთიერთობას, ცხადია, მესამე პირების მეშვეობით.

ინტერნეტის მასალებში დაწვრილებით აღნუსხულია ვ. პუტინის ნათესავებისა და მისი სამსახურებრივი გარემოცვის მაღალი თანამდებობის პირების ბიზნეს-საქმიანობა. ამ პირთაგან დასახელებულია, პირველ რიგში, იგორ სეჩინი (ამჟამად მთავრობის ვიცე-პრემიერიძ, დიმიტრი მედვედევი (დღევანდელი – პრეზიდენტიძ, სერგეი და ვიქტორ ივანოვები (ეს უკანასკნელი დღეს სახელმწიფო კონტროლის კომიტეტს მეთაურობსძ. ვლადისლავ სურკოვი (პეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეძ, ალექსი კუდრინი (მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და ფინანსთა მინისტრიძ, ვიქტორ ხრისტენკო (მრეწველობის მინისტრიძ, ტატიანა გოლიკოვა (ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრიძ, ნიკოლაი პატრუშევი (რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი, უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორიძ, სერგეი შოიგუ, ვალენტინ მატვიენკო (სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორიძ და სხვ. (ჩამოთვლილ პირებზე და მათ ბიზნესზე მასალები გამოქვეყნებულია „ნოვაია გაზეტას“ 2007 წლის №58, 63, 84 და 2008 წლის №4, 36, 86 ნომრებში. რაც შეეხება ვ. პუტინის ნათესავების ბიზნეს-საქმიანობას, ამის თაობაზე მასალა გამოქვეყნებულია იმავე გაზეთის 2009 წლის 28 იანვრის ნომერში. იხ. Роман Шлейнов, „Новая Газета“, 28.01.2009. ყველა ეს ინფორმაცია შემდგომ მოთავსებულია რუსულ საინტერნეტო არხზე „Компромат.ру“ძ.

ვ. პუტინის **ნათესავების მონაწილეობით „აწყობილი“** ბიზნესი მოიცავს მშენებლობას, ნავთობსარეწების მოწყობილობათა წარმოებას, „გაზპრომიდან“ „ჩამოცილებულ“ კომპანიებს, სახალინის თევზის სარეწებს, ინსულინისა და ინტერფერონის წარმოებას და ა.შ. და ა.შ. რუსეთის პრემიერის ნათესავები და ურიცხვი ახლო მეგობარი არა მხოლოდ კერძო სტრუქტურებს, არამედ სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოქცეულ კომპანიებს და კორპორაციებსაც თაოსნობენ.

### 4. რუსეთს კორუფცია ჭამს!

*(რუსეთის ცნობილი პირების ვლადიმერ მილოვისა და ბორის ნემცოვის არასამთავრობო, საექსპერტო მოხსენებიდან: „პუტინი. შედეგები“, ნოვაია გაზეტა, №9, 07.02.08ძ.*

„პუტინის პრეზიდენტობის ერთ-ერთი უმძიმესი, შავბნელი შედეგია ქვეყნის ჩაძირვა კორუფციის წყვლიადში,“ – იწყებენ ავტორები მოხსენებას.

კორუფციის დონის განმსაზღვრელ მსოფლიო რეიტინგში რუსეთს ბოლო, 143-ე პოზიცია უკავია, მის წინ არის გამბია (123-ე პოზიციაძ, უკრაინა (118-ეძ, ეგვიპტე (105-ეძ, საქართველო (79-ეძ, სამხრეთ აფრიკა (43-ეძ. ჯერ კიდევ 2000 წელს ამ რეიტინგში რუსეთს 82-ე პოზიცია ეკავა, ახლა კი ფსკერამდე დაეშვა. თუ 2001 წელს კორუფციულ გარიგებათა მოცულობა რუსეთში 40 მილიარდ დოლარს აღწევდა, 2006 წელს ასეთი გარიგებანი 300 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. დღეს ქრთამი და ჩინოვნიკების რეკეტი რუსეთში საყოველთაო ნორმადაა ქცეული.

1990-ან წლების რეფორმების პარაზიტ ოლიგარქებთან შედარებით ვ. პუტინი გაცილებით უფრო მოქნილი აღმოჩნდა. კორუფცია მაშინაც ძლიერი იყო, მაგრამ ის ყველასთვის აშკარად ჩანდა, რადგან თავისუფალ პრესას შეეძლო ნებისმიერი კორუფციული ფაქტი გაემჟღავნებინა. 1997 წელს მთავრობის მრავალი წევრი გაათავისუფლეს 90 ათასი დოლარის ავანსად მიღებისათვის, რაც მათ საპრივატიზაციო წიგნაკით „ეკუთვნოდათ“. დღევანდელ კორუფციონერებს კი ეს თანხა სასაცილოდ არ ყოფნით. დღეს ჩინოვნიკების ქურდობა მრავალი მილიარდი დოლარით აღირიცხება, მაგრამ ყველაფერი დამალულია მსხვილი აქტივების საიდუმლო ბენეფიციარების მიღმა, სადაც პუტინის „ძლიერი მეგობრები“ დგანან. ჭეშმარიტ მფლობელთა შესახებ ინფორმაციას სპეცსამსახურები გულდაგულ ფარავენ და კრემლის კონტროლის ქვეშ მოქცეული მედიისთვის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში კორუფციის თემა ფაქტობრივად ტაბუდადებულია.

საიდუმლო „მესამე პირთა“ ხელში მნიშვნელოვანი აქტივების გადატანის „ჩემპიონი“ გახდა „გაზპრომი“. მან, სულ რაღაც სამი წლის მანძილზე, ყოვლად უკონკურსოდ, გაუმჭვირვალე პროცედურით, სამი მნიშვნელოვანი საფინანსო აქტივი საკუთრებაში გადასცა გარეშე პირებს, რომლებიც კომპანიის ფულად ნაკადებს ემსახურებოდნენ. ჯერ ეს იყო „გაზპრომის“ შვილეული სადაზღვევო კომპანია „სოგაზ“: 2005 წელს ის საკუთრებაში გადასცეს პეტერბურგის ბანკ „როსიას“ სტრუქტურებს. იმ მომენტში ამ ბანკის ყველა აქტივი თითქმის იმდენივე იყო, რამდენიც „სოგაზისა“ (1 მილიარდი დოლარიძ. მაგრამ „სოგაზი“ ღია აუქციონზე კი არ გაიყიდა, არამედ პიტერის ამ პატარა ბანკს გადაეცა საკუთრებაში.

2006 წელს იმავე ბანკ „როსიას“ სტრუქტურების მმართველობაში გადასცეს საპენსიო ფონდ „გაზფონდის“ 6 მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის საპენსიო რეზერვები, ხოლო 2006 წლის ბოლოსა და 2007 წლის დასაწყისში ამ ფულით „გაზპრომბანკის“ აქციების 50%-ზე მეტი გამოისყიდეს. 2007 წლის ბოლოსთვის „გაზპრომბანკი“ აქტივების ოდენობით რუსეთის მეორე ბანკი გახდა „შემნახველი ბანკის“ შემდეგ.

ბანკი „როსია“ 1990 წელს დაფუძნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (სკკპძ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის **საქმეთა მმართველობის მონაწილეობით.** ამ ბანკის უმსხვილესი აქციონერია მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **იური კოვალჩუკი,** პრეზიდენტ ვ. პუტინის ახლო ნაცნობი პეტერბურგში მისი მუშაობის დროიდან. ბანკის მფლობელთა მთლიანი სტრუქტურა დღეისთვის უცნობია.

ბანკ „როსიადან“ პუტინის მეგობართა მსხვილმასშტაბიანი აფიორის შედეგი იყო გიგანტური ჰოლდინგი „გაზპრომ-მედიას“ დაპატრონება, რომლის შემადგენლობაში შედიან ტელეარხები და სხვა მედიააქტივები. მანამ, სანამ კოვალჩუკსა და მის კომპანიას ხელში „გაზპრომბანკი“ ჩაუვარდებოდა, 2005 წლის ივლისში, მასში წინასწარ გადაიყვანეს დასახელებული **„გაზპრომ-მედიას“ ჯგუფი და ტელეარხებისა და მედიააქტივების აქციების პაკეტი, რაც „გაზპრომბანკს“ 166 მილიონი დოლარი დაუჯდა. ამ გაყიდვიდან 2 წლის შემდეგ, 2007 წლის ივლისში, ვიცე-პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა „გაზპრომ-მედიას“ აქტივების ღირებულება 7,5 მილიარდ დოლარად შეაფასა.** გამოდის, რომ „გაზპრომმა“ პრეზიდენტ პუტინის მეგობრებს ეს აქტივები რეალურ ღირებულებასთან შედარებით 45-ჯერ უფრო იაფად მისცა! ამ აფიორასთან შედარებით **სავალო აუქციონები** „სიწმინდისა და გამჭირვალობის ნიმუშად“ გამოიყურება. დღეს კოვალჩუკისა და მისი მეგობრების განკარგულებაში არსებული მედია-აქტივები მხოლოდ უბრალო ბიზნესი როდია, არამედ სრულმასშტაბიანი პოლიტიკური რესურსია, რომელსაც ძალუძს საზოგადოებრივი შეგნების მასირებული დამუშავება. ეს არის გიგანტური არასახელმწიფო მედიაჰოლდინგი, რომელიც მოიცავს ოთხ მსხვილ ტელეარხს – ნტვ, ტნტ, რენ ტვ, „სანკტ-პეტერბურგი მე-5 არხი“, მთელ რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე კითხვადი გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“, ათობით ტელე და რადიოკომპანია და გაზეთი. ეს მედიამანქანა თავისი მასშტაბით აჭარბებს გუსინსკისა და ბერეზოვსკის ყოფილ მედია-შესაძლებლობებს და სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მძლავრი კონკურენტია. ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ასეთი რესურსი გამოყენებული არ იქნება ვ. პუტინის პოლიტიკური ინტერესებისათვის!

ბანკ „როსიას“ დირექტორის – იური კოვალჩუკის (რომლის ხელშიც ასეთი საშუალებებია თავმოყრილიძ ძმა მიხეილი ხელმძღვანელობს კურჩატოვის ინსტიტუტს და ამას წინათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახდა. ახლა მის ხელშია აკადემიისათვის გამოყოფილი 130 მილიარდი რუბლის განაწილების უფლებამოსილება. იური კოვალჩუკის ვაჟი ბორისი, ადრე **დიმიტრი მედვედევის** მრჩეველი იყო, ახლა კი რუსეთის მთავრობის აპარატში ეროვნული პრიორიტეტების პროექტების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს.

მსგავსი ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთდაზღვევა დანერგილია „სიბნეფტის“, „სურგუტნეფტის“, „სუზნეფტის“, „სიბურის“, შვეიცარიის უდიდესი რუსული ნავთობტრაიდერის და უამრავი სხვა კერძო და სახელმწიფო კომპანიების აქციების მფლობელობისა და შემოსავლების განაწილების სფეროში.

აი ასე ბანს ხელი ხელს, ორივე კი...



### 5. ყალიბდება ვ. პუტინის კულტი. იგი ბელადი ხდება

რუსეთში ხელისუფლება გარეგნულად სულ უფრო ემგვანება საბჭოთა მოდელს: „ხალხი და პარტია ერთიანია!“ თუმცა პარტიის ნაცვლად ახლა ერთი ადამიანია – პუტინი. ის თვითონაა ამ კონცეფციის ავტორი, – ამტკიცებენ კრემლთან ახლო მყოფი წყაროები.

ვ. პუტინის კულტი ზევიდან ინერგება: ადგილობრივი ხელისუფლების, ფედერალური სამსახურების აპარატებისა და თვით პუტინი მიერ. მოსახლეობა მხარს უჭერს ან წინააღმდეგი არ არის.

2005 წელს სტატიისათვის **„პუტინი, როგორც რუსეთის ფალისტური სიმბოლო“** (ფალისტური, აქ: როგორც რუსეთის მწარმოებლური ძალის სიმბოლოძ ივანოვოს საოლქო გაზეთი „კურსივი“ „ხელისუფლების წარმომადგენლის შეურაცხყოფისათვის“ სასამართლოს გადაწყვეტილებით 20 ათასი რუბლით დააჯარიმეს. იმავე წლის სექტემბერში კი გაზეთი „სარატოვის რეპორტიორი“ აქვეყნებს კოლაჟს, სადაც სს-ის შტანდარტერფიურერ შტირლიცის ფორმაში გამოწყობილ ვ. პუტინს სარატოვის საქალაქო სათათბიროს დეპუტატი მიხეილ ისაევი-მიულერი თხოვს დარჩეს მესამე ვადით: **„ხოლო თქვენ, შტირლიც, მე გთხოვთ დარჩეთ. კიდევ...“** ამ კოლაჟის გამო რუსეთის ფედერაციის სამთავრობო ორგანომ „ნაცისტური გერმანიის სს-ის ჯარის ოფიცერთან რუსეთის პრეზიდენტ ვ. პუტინის მიმსგავსებისთვის“ გაზეთის დახურვა მოითხოვა. მართალია, სინამდვილეში შტირლიცი სულაც არ იყო ნაცისტი ოფიცერი, უფრო პირიქით, მაგრამ საბრალო გაზეთის რედაქციას დაავიწყდა, რომ **პუტინს არ უნდა შეეხო!** რუსეთის პრეზიდენტი თანდათან ნათლად იკვეთება ბელადად, ერის ლიდერად. ახლა პირადად ის ერთია უკანასკნელ წლებში რუსეთის ყველა წარმატების ავტორი! უმისობა წარმოუდგენელია და ამიტომ დიდი თუ პატარა ყელგაწვდილი თხოვდა – დარჩენილიყო პრეზიდენტად!!

დღეს რუსული ელიტის უპირველესი ვალდებულება **პუტინის სახის შექმნაა**. როგორც კრემლთან დაახლოებული წყარო ამბობს, **პუტინის დაბადების დღეზე, რომელიც კრემლში უშიშროების საბჭოსა წევრებისა და სამხედრო ხელმძღვანელობის წრეში მოეწყო, პრემიერმა ვიქტორ ზუბკოვმა სადღეგრძელო ასწია და თქვა: „за Путина - лидера нации!“**. ლიდერის იუბილემ მთელი ქვეყანა მოვლო. სანკტ-პეტერბურგში მისი სახელობის ბაღს ჩაუყარეს საფუძველი. ამის კვალდაკვალ სამარელებმა მოითხოვეს დაედგათ პუტინის დიდი ძეგლი, რომლის პატივი „პრეზიდენტმა გასული რვა წლის მმართველობით დაიმსახურა!“ და ა.შ. სახელმწიფო „დუმაში“ ყოველივე ამას სრულიად ნორმალურად მიიჩნევენ, მეტიც, ხელს უწყობენ ელიტის მფარველი კულტის აღზევებას, რადგან „ხელი ხელს ბანს“...

**საინტერნეტო საიტ „კომპრომატ. რუ“-ს მასალების მიხედვით მოამზადა**

**ამირან გაბისონიამ**

---

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 79.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# პროტესტი საკნების დონეზე

**ქართულმა ოპოზიციამ განაახლა საპროტესტო აქციები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვადამდელი გადადგომის მოთხოვნით. აქციებს გაუჩნდათ ახალი სიმბოლო — გადასატანი კარავ-საკნები, რომლებიც გაიშლება მთელ თბილისში მანამ, სანამ პრეზიდენტი არ წავა.** ამას გარდა, ოპოზიციის ლიდერები გვპირდებიან, რომ უახლოეს დღეებში დედაქალაქში ჩამოვლენ მრავალრიცხოვანი მხარდამჭერები საქართველოს რეგიონებიდან, როგორც ეტყობა, ძალიან ბევრია.

მიუხედავად ამისა, ოპოზიციის ლიდერები გვპირდებიან, რომ უახლოეს დღეებში აქციების მონაწილეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება — დასახმარებლად ჩამოვლენ ხელისუფლების მოწინააღმდეგეები რეგიონებიდან. ბევრი ოპოზიციური ლიდერი გაემგზავრა დედაქალაქიდან, რათა შეაგროვონ ხელისუფლების მოწინააღმდეგეები, რათა დაამხონ სააკაშვილის რეჟიმი, როგორც ედუარდ შევარდნაძის რეჟიმი „ვარდების რევოლუციის" დროს. ეს კოლონები დაიძვრებიან თბილისისკენ, რომ მიიღონ მონაწილეობა საერთოეროვნულ მიტინგში. „თავისუფლების ის მუხტი, რომელიც ამჟამად თბილისის თავზეა, გადაეცემა ქვეყნის რეგიონებს და მალე ქართველი ხალხი აღნიშნავს გამარჯვებას, რომელსაც ელოდება მთელი ქვეყანა და მთელი მსოფლიო", — განაცხადა ოპოზიციური მოძრაობის „ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ.




განახლებული აქციები, რომლებიც შეწყდა აღდგომის უქმე დღეებში, უფრო მცირერიცხოვანია, ვიდრე გასულ კვირას იყო. შეიმჩნევა, რომ რუსთაველის პროსპექტზე მოდიან ერთი და იგივე ადამიანები.

— მე ძალიან გავხდი, „სააკაშვილის დიეტაზე" ვზივარ. ხუთი წელია უმუშევარი ვარ, — ამბობს მიტინგის ერთ-ერთი მონაწილე. ასეთი უმუშევრები აქ, როგორც ეტყობა, ძალიან ბევრია.

ოპოზიციის ლიდერები მიესალმნენ რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილებს სიტყვებით „ქრისტე აღსდგა!", „ჭეშმარიტად!" — უპასუხებდნენ ადამიანები, რომლებიც შეკრებილი იყვნენ პარლამენტის შენობასთან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსხელმძღვანელმა სალომე ზურაბიშვილმა მადლობა გადაუხადა მიტინგის მონაწილეებს იმისთვის, რომ შობის უქმე დღეებში, მიუხედავად საპროტესტო აქციების შეწყვეტისა, ბევრი არ ტოვებდა თავის ადგილს და აგრძელებდა პიკეტირებას სახელმწიფო შენობებთან. კონსერვატორმა ზვიად ძიძიგურმა ხალხს აცნობა, რომ სააკაშვილის ვიზიტი შეერთებულ შტატებში, რომელიც უნდა დაწყებულიყო 25 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების ექს-პრეზიდენტის ბილ კლინტონის მოწვევით, გადაიდო. „სააკაშვილი ცდილობდა მიეღწია შეთანხმებას ბარაკ ობამასთან შეხვედრაზე, მაგრამ ობამამ მას კარისკენ უჩვენა. და ამის შემდეგ სააკაშვილი უკვე ველარ შეძლებს დატოვოს საქართველო. — განაცხადა მან. — სააკაშვილი რომ გაფრენილიყო რამდენიმე დღით საქართველოდან, ჩვენ მას მოვუწყობდით მისთვის სამარცხვინო გაცილებას. მას ძნელად რომ შესძლებოდა მშვიდად დაბრუნებულიყო უკან, თვითმფრინავი ხომ უნდა დაშვებულიყო თბილისის აეროპორტში, ჩვენ კი მას იქ მძლავრად შევხვდებოდით".

პარლამენტის ექს-სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ თქვა, რომ პარლამენტის ბიურო (მასში შედიან პარლამენტის ფრაქციების, აგრეთვე კომიტეტების ხელმძღვანელებიძ შეიკრიბა სხდომაზე, რომელიც სულ 6 წუთი და 17 წამი გაგრძელდა. „მე პარლამენტის თავმჯდომარე ვიყავი ექვსი წლის განმავლობაში და პარლამენტის ბიუროს არც ერთი სხდომა არ ყოფილა ასე ხანმოკლე, — განაცხადა მან. — ხელისუფლება შეშინებულია და არ შეუძლია მოაწყოს საკანონმდებლო ორგანოს სხდომა. იგი უმოქმედოდაა უკვე რამდენიმე კვირაა. ეს კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქვეყანა იმყოფება ულრმეს სახელმწიფო კრიზისში".

ოპოზიციონერებმა გაშალეს რამდენიმე კარვის ქალაქი. ისინი კარვებით შემოერტყნენ თბილისის მერიას და სახელმწიფო კანცელარიას, სადაც მუშაობს საქართველოს მთავრობა. ამ დროს ხალხის პარტიის ხელმძღვანელმა კობა დავითაშვილმა განაცხადა, რომ შენობის ბლოკადის გამო მთავრობას არ შეუძლია ნორმალურად იფუნქციონიროს, ამიტომ ხელისუფლება მალე დათმობაზე წავა. მას რომ ამისკენ ვუბიძგოთ, ოპოზიციონერებმა მოვიფიქრეთ ახალი აქცია.

ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ გამოაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილის წასვლამდე თბილისში იმოქმედებს „პალატა-კარვების ქალაქი". „პალატა-კარვები", რომლებშიც სხედან ოპოზიციონერები მორიგეობით, მანიფესტაციის დაწყებიდან დადგმული იყო მხოლოდ პრეზიდენტის რეზიდენციასთან და საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის შენობასთან. მაგრამ ოპოზიცია გვპირდება, რომ გადასატანი პალატა-კარვები დაიდგმება ტერიტორიაზე თავისუფლების მოედნიდან პარლამენტის შენობამდე, აგრეთვე სახელმწიფო კანცელარიისა და თბილისის მერიის შენობების გარშემო.

გიორგი დვალი

Коммерсантъ

# ქართული რეალური შოუს გმირი პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოდის

**პოეტი და მომღერალი, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სატელევიზიო პროტესტის სახით, სამი თვის წინ თავი დაიტუსაღა, სამშაბათს ცოტა ხნით გამოჩნდა თავისი იმპროვიზირებული საკნიდან და მხარდამჭერებს შეუერთდა.**

გიორგი გაჩეჩილაძე იანვრიდან 24 საათის განმავლობაში ანტისამთავრობო ტელევიზიის „მაესტროს" სტუდიაში ტელეკამერების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და ფიცს დებს, რომ იქ დარჩება მანამდე, სანამ სააკაშვილი არ გადადგება.

მისი პერსონალური პროტესტი ოპოზიციის ლიდერებმა გაიზიარეს, რომლის აქტივისტებიც კარვებში და „საკნებში" სააკაშვილის რეზიდენციასთან და საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაბანაკდნენ.

გაჩეჩილაძემ სამშაბათს საკანი ერთი საათით დატოვა, რათა თბილისში უკვე მეორე კვირის განმავლობაში მომიტინგე მხარდმჭერებისთვის მიემართა. დემონსტრანტები სააკაშვილის გადადგომას დემოკრატიისადმი მისი დამოკიდებულებისა და რუსეთთან გასული წლის გამანადგურებელი ომის გამო ითხოვენ.

„მე იმედი მაქვს, რომ ეს კოშმარი, რომელშიც ქართველები ცხოვრობენ მალე დასრულდება და ჩვენი ქვეყნისთვის ახალი, დიდებული ხანა დაიწყება" — უთხრა გაჩეჩილაძემ, რომელიც თავის თაყვანისმცემლებისთვის უცნობის სახელითაა ცნობილი, პარლამენტის წინ შეკრებილ ადამიანებს.

„ეს გადამწყვეტი ბრძოლაა" — განაცხადა მან.

გაჩეჩილაძე, რომლის ძმაც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის კონკურენტი იყო, 20 იანვრიდან, მას მერე, რაც შოუ „მაესტროს" პირდაპირ ეთერში გავიდა, თბილისის კაფეებსა და ბარებში განსჯის საგნად იქცა, ხოლო კამერები მის თითოეულ პოლიტიკურ დეკლარაციას აფიქსირებენ.

ოპოზიციამ ქუჩის საპროტესტო აქციები 9 აპრილს დაიწყო, როდესაც 60,000 ადამიანი შეიკრიბა. მაგრამ ადამიანთა რაოდენობა იკლებს და ექსპერტები ამბობენ, რომ ხელისუფლება დროს წელავს, სანამ ოპოზიციის შედარებით უფრო ზომიერი ფრთა მოლაპარაკებებზე თანხმობას განაცხადებს.



ოპონენტები სააკაშვილს იმაში სდებენ ბრალს, რომ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდა, ძალაუფლების მონოპოლიზაცია მოახდინა, ჩაახშო სასამართლო სისტემა და მედია. სააკაშვილი ხელისუფლებაში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოვიდა.

გასული წლის ომმა, როდესაც რუსეთმა გაანადგურა საქართველოს შეტევა პრომოსკოვურ რეგიონზე, სამხრეთ ოსეთზე, შეაგულიანა ოპონენტები, რომლებიც აცხადებენ, რომ სააკაშვილი არ უნდა დარჩეს ხელისუფლებაში 2013 წლამდე.

მაგრამ ექსპერტების აზრით, მისი პოზიცია, როგორც ჩანს, მტკიცეა. ისინი ეჭვობენ, რომ ოპოზიცია შესძლებს საკმაო რაოდენობის ადამიანების შეკრებას და გამოიჩენს იმდენ მოთმინებას, რომ სააკაშვილი თანამდებობიდან გადააყენოს.

მარგარიტა ანთიძე,
მეტ რობინსონი

REUTERS

## დედამიწის ზურგზე



**„ჰამასმა" ღაზისკენ გათხარა გვირაბები, სადაც შეიძლება იმოგზაურო ჯიპებით**

ისრაელის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, მთლიანად დაჯგუფებას აქვს 160 გვირაბი, რომლებიც გათხრილია ფილადელფიის დერეფნის ქვეშ. ამ გვირაბებით ეგვიპტის საზღვრების გავლით ღაზაში აქტიურად გადააქვთ შეიარაღება.

* * *

**ინდოეთში მაოისტებმა გაათავისუფლეს დატყვევებული მატარებლის მგზავრები**

დილით მატარებლის მოძრაობის დროს უღრანი ტყეების გავლით, შემადგენლობაში მყოფმა ბოევიკმა ჩამოგლიჯა გაჩერების ონკანი. ტყიდან გამოსულმა ბოევიკებმა ხელში ჩაიგდეს მატარებელი. ინციდენტი მოხდა ჯარკხანდის შტატში. იტყობინებიან, რომ იქვე ააფეთქეს რკინიგზის სადგური, სკოლა და სამედიცინო ცენტრი.

* * *

**რუსეთის საოკეანო ტანკერის ეკიპაჟმა თავი მეკობრეებისგან წყალმფრქვევებით გაითავისუფლა**



მეკობრეები თავს დაესხნენ ტანკერს ადენის სრუტეში. მეკობრეების გემიდან ტანკერისკენ გაემგზავრა მოტორიანი ნავი 4 მეკობრით, რომლებიც ამზადებდნენ ტრაპს აბორდაჟისთვის. ტანკერის კაპიტანმა უბრძანა, განეხორციელებინათ შეტევა პირატების წინააღმდეგ გემის სახანძრო წყალმფრქვევების სისტემებით. მეკობრეებმა გაისროლეს ყუმბარსატყორცნები, მაგრამ ყუმბარები არ აფეთქდა და მკეობრეები დაუბრუნდნენ თავიანთ გემს.

* * *

**ბოლივიის პრეზიდენტი აფასებს ამერიკის განზრახვას, მოაწესრიგოს ორმხრივი ურთიერთობანი**

მორალესის სიტყვებით, ამერიკების ამასწინანდელ სამიტზე ტრინიდადსა და ტობაგოში დასავლეთ ნახევარსფეროს სახელმწიფოთა მეთაურების მონაწილეობით, იგი იყო „გაოცებული" ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას გამოსვლით, რომელიც თანაბარ დონეზე ხვდებოდა თავის ლათინოამერიკელ კოლეგებს და ყურადღებით უსმენდა მათ, თეთრი სახლის ყოფილი მეთაურის ჯორჯ ბუშისგან განსხვავებით.

* * *

**ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა გადააყენა ყველა 20 სახელმწიფო მინისტრი**

ახალი სახელმწიფო მინისტრები დაინიშნა უკვე 22 აპრილს. მაგრამ მათი რიცხვი შემცირდა 15-მდე. ასე აპირებს ხელისუფლება დაზოგოს ორნახევარი მილიონი ევრო წელიწადში. ოპოზიცია კი მოითხოვს უფრო რადიკალურ ზომებს — შეამციროს კიდევ 8 კაცი.



შეხვედრები

# ქართველთა და ვაინახთა ერთობა ურღვევია

**„კავკასიის ფონდის“ ორგანიზებით თბილისში „ქართულ-ვაინახური შეხვედრები“ იმართება. მისი პროგრამა მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც 25 აპრილამდე გაგრძელდება.**

„კავკასიის ფონდის“ ცნობით, ღონისძიებაში ჩეჩნეთის და ინგუშეთის რესპუბლიკებიდან მოწვეული მწერლები, მხატვრები, მეცნიერი კავკასიოლოგები მიიღებენ მონაწილეობას. მას ასევე ევროპაში ჩეჩნური დიასპორების წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

გალერეა „კოპალაში“ ჩეჩნეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის ქვრივის – ალა დუდაევას ნახატების გამოფენა გაიხსნა. მის ნახატებში მეუღლის პორტრეტიც მოხვდა. ალა დუდაევა საქართველოში დაახლოებით 2 თვე დარჩება.

როგორც ალა დუდაევამ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, მთებში აპირებს წასვლას და საგაზაფხულო ეტიუდების შესრულებას.

**– ჩვენ კავკასიას ერთმანეთის გულებით ვავსებთ, – ამბობს ის, – ვფიქრობ, ერთიანი ძალებით რაღაც გამოგვივა, მივაღწევთ იმას, რაზეც ვოცნებობთ, განსაკუთრებით ქალები. იმედი მაქვს, იქნება მშვიდობა, აღარ დახოცავენ ჩვენს შვილებს, ქმრებს. მჯერა, რომ კავკასიის თავზე უღრუბლო ცისფერი ცა იქნება.**



ალა დუდაევა, მამა კონსტანტინე და ხიზრი ალდამოვი

გამოფენას ჩეჩნეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკიდან მოწვეული სტუმრები, მწერლები, მხატვრები და მეცნიერი კავკასიოლოგები დაესწრნენ.

შეკრებილებს კავკასიური ერთიანობისაკენ მოუწოდა „კავკასიის მშვიდობის მისიის“ ხელმძღვანელმა მამა კონსტანტინემ (კოლუაშვილმაძ.

23 აპრილს გაიხსნება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – „ქართულ-ვაინახური კულტურული კავშირები და კავკასია“.

**მურად ალაშვილი,**
ავტორის ფოტო

**ალა დუდაევა**

## რუს დედებს

ვინც საახალწლო ღვინით მთვრალები,
ააწკრიალებთ კვლავ სავსე ჭიქებს,
დაე, დაგიდგეთ თვალწინ თვალები
შორს დარჩენილი თქვენი ბიჭების.

დაე, დაგიდგეთ თვალწინ  თვალები
დახუჭულები დარდით, წვალებით,
რუსეთის მიერ ომში მოკლული,
ყველა მოკლული შვილის თვალები.

ჯერ კიდევ ფეთქავს მათი გულები
და დედამიწა შემკრთალი უსმენს,
ცივ სამარეში დამარხულები
შეჰღაღადებენ კრემლსა და რუსეთს.

რისთვის გაწირე რუსეთო, რისთვის,
რისთვის დასაჯე შენი შვილები.
რუსის დედებო, აღივსეთ რისხვით
თქვენი ჭრილობით და ტკივილებით.

თქვენი ძალა და ნება აჩვენეთ
ვინც ომითა და სისხლით მთვრალია,
გაიხსენეთ და გადაარჩინეთ
ისინი,
ვინც,
ვინც ცოცხალია.

გადაარჩინეთ ვინც ცოცხალია,
და ვინც იმედი არის ხვალისა,
მათი სიცოცხლე სანთლის ალია,
რომელიც ებრძვის ქარს და ქარიშხალს.
მე მჯერა თქვენი და გულის კარზე
ვიცი, ამაოდ არ ვაკაკუნებ,
და სანამ ომის გრიგალი ხვალ-ზეგ
უფრო უარესს დღეებს გვარგუნებს.

სანამ ტყვიები წაიღებს სათქმელს,
დედებო, მეტი სიმტკიცე გვმართებს,
სანამდე ქარი ჩააქრობს სანთლებს
გადავარჩინოთ სიცოცხლე მათი.

კრემლის ვარსკვლავი ნელ-ნელა ქრება,
კრემლის ვარსკვლავებს აკლდებათ შუქი,
წითელ მოედნის ხოტბა და ქება
ახლა მოსკოვსაც უჭირს და უკვირს.

კრემლის ვარსკვლავებს მისხლად მოედო
იმ საახალწლო დილის ზმანება,
სისხლი აწითლებს კრემლის მოედანს
და სულებს ჰკიდებს ცაზე ზარებად.

თარგმნა **ნოდარ ჯალაღონიამ**
1995 წ. თებერვალი



ალა დუდაევა გამოფენის გახსნის დროს

სამშობლოს გრძნობა – გასაკვირველი

დღეს რომ საქართველოში, რამდენიმე წლის ინტერვალით, წიგნი ხელმეორედ გამოიცემა, დამეთანხმებით, განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მართლაც: **მიხა გეგეშიძის „დაკარგული ქვეყნის მეომრები“** თავიდან, გამოსვლისთანავე ბესტსელერი გახდა და, ეს, უპირველესად, წიგნის თემამ და ამ თემისადმი ავტორის უაღრესად კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ განაპირობა. მიხა გეგეშიძე ვაჟიშვილია ჩვენი ჩინებული პროზაიკოსისა და მამულიშვილის გურამ გეგეშიძისა. იგი მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის მებრძოლი, ბედად გადარჩა, ცოცხალი დაბრუნდა თბილისში, მაგრამ, ვაი, ამ დაბრუნებას – დამარცხებული ქვეყნის შვილი დაბრუნდა.

საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ მიერ.

აი, რას მიამბობს მამის კვალზე შემდგარი ვაჟიშვილის შესახებ მწერალი **გურამ გეგეშიძე:**

– მიხა უნივერსიტეტში სწავლობდა ისტორიულზე და, უნდა ვთქვა, რომ მწერლური ნიჭი უკვე იგრძნობოდა მის საკურსო ნაშრომებში... ომში რომ წავიდა (მეც წავყევი გაგრაშიძ, ვუთხარი, დაწერე ნანახი და განცდილი-მეთქი. ღვთის მადლით, დაბრუნდა მშვიდობით, მაგრამ უმუშევარი დარჩა და, მე რა ვიცოდი, თურმე, ამ წიგნს წერდა. ერთ დღესაც მის მაგიდაზე შემთხვევით ვნახე თაბახის ფურცლები, წავიკითხე და ძალიან მომეწონა. ჰოდა ვუთხარი, აბა, შენ იცი, მიიყვანე ბოლომდე-მეთქი. გამოვიდა წიგნი და უცებ გახმაურდა იგი ტელევიზიით, გაზეთებით... ულოცავდნენ მკითხველები, ომგამოვლილი ნაცნობ-მეგობრები... ამ ექოს, წარმოიდგინეთ, რომ ამერიკამდეც კი ჩაუღწევია, შემთხვევით უნახავთ წიგნი რადიომაუწყებლობა „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში და ერთ დღესაც ამ ჩემს უმუშევარ მიხას თბილისში ვაშინგტონიდან მოსდის გასაოცარი შემოთავაზება, „ამერიკის ხმაში“ ხომ არ იმუშავებთო... აბა, უარს ვინ იტყოდა? ჩააბარა მიხამ ამერიკის საელჩოში რაღაც ტესტები (ინგლისური, ცხადია, იცოდაძ და დღეს იგი უკვე, ჩემო ბატონო, ამერიკაშია ცოლ-შვილით და, „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის რედაქტორს, ყოველ შაბათს მიჰყავს გადაცემა „მემატიანე“.

**– მაინც ბედი ჩარეულა არა?.. ბატონო გურამ...**

– რა თქმა უნდა...

**– თუმცა, ეტყობა, ყველაფერი გადაწყვიტა წიგნის დონემ, თემით აქტუალობამ, ავტორის ბიოგრაფიულმა მონაცემებმა...**

– ალბათ... ფაქტია, რომ მიხა უკვე ამერიკაშია ცოლითა და სამი შვილით, რომლებიც ზაფხულობით ჩამოჰყავს ხოლმე ჩვენს მოსანახულებლად. შარშან, აგვისტოს დასაწყისშიც ჩამოვიდა, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო, აღარ დატოვა ბავშვები... სხვათა შორის, წავიდა ცხინვალში, მაგრამ გორს ვეღარ გასცდა... საკუთარი თვალით იხილა როგორ დაბომბეს რუსებმა ქალაქი... ასეთი ქაოსი აფხაზეთშიც არ მინახავსო, მიამბობდა...

**– აბა, შვილიშვილების ალერსით ვერ მოიძღეთ გული?..**

– რას იზამ... მე თვითონ წავალ მალე რამდენიმე თვით და...

**– მაგას რა სჯობს... თქვენს „ფრონტზე“ რა ხდება საინტერესო, ბატონო გურამ?**

– ორ კვირაში უნდა გამოვიდეს (ასე დამპირდნენძ ჩემი მოთხრობების სრული კრებული. ააშენა ღმერთმა – ზურაბ წერეთელი დამეხმარა...

**– ოოოოოო... კარგია... ესე იგი, ასაჩუქრებთ მამა-შვილი გეგეშიძეები თაყვანისმცემლებს საუკეთესო წიგნებით და ეგ არის!**

– საქართველოში ისეთი ამბები ხდება, არის ვინმე წიგნის კითხვის ხასიათზე?..

**– წიგნს გააჩნია...**

**ვილენ მარდალეიშვილი**

## სევდის წიგნი

### დაკარგულ ქვეყანას ისევ დაკარგული ქვეყნის მეომრები აღმოაჩენენ




**„4 ოქტომბერს თბილისში გვიან ღამე ჩამოვედით. დილომში ჟორა ხარებავას კორპუსთან მისი ოჯახის წევრები, ახლობლები, მეზობლები გვეგებებიან. ჟორას ეხვევიან, კოცნიან, მისი დაბრუნება უხარიათ. ჩვენც ხელს გვართმევენ, „გილოცავთ, გილოცავთ“ – ისმის აქეთ-იქიდან. ჩვენ კი გაკვირვებულები ვდგავართ და ვერ გაგვიგია, რას გვილოცავს ეს ხალხი. ისიც კი ვიფიქრე, იქნებ საქართველოსთვის რაიმე სასიკეთოდ შეიცვალა და ჩვენ არა ვართ საქმის კურსში-მეთქი. გვიან მოვდივარ აზრზე – თურმე ბრძოლაში დამარცხებულ მეომრებს გადარჩენას გვილოცავენ. ვითომ მოსალოცად გვაქვს ახლა ჩვენ საქმე? საქართველო სისხლისგან იცლება, აფხაზეთი დავკარგეთ, ათასობით ჯარისკაცი დაგვეღუპა, ათიათასობით ლტოლვილი შევიძინეთ, გადამთიელებმა გამოგვყარეს საკუთარი სახლ-კარიდან, შეგვიგინეს წინაპართა საფლავები, ნამუსი ახადეს ჩვენს ქალებს, შეურაცხყვეს ჩვენი კაცური ღირსება და ამის შემდეგ ჩვენ კიდევ ერთმანეთს ვულოცავთ იმას, რომ არ გვეყო ვაჟკაცობა მტრისთვის შეგვეკლა თავი?!“**

ეს ამონარიდი მიხა გეგეშიძის წიგნიდანაა, რომელიც პირველად 1999 წელს გამოაქვეყნა გამომცემლობა „დიოგენემ“ და, როგორც გითხარით, იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია. აქ ასახულია აფხაზეთის ომის წინა პირობები, ომი, მისი მიმდინარეობა, მარცხი... ავტორის პირადი შთაბეჭდილებები, განცდილი და გარდახდენილი შერწყმულია მოვლენების უაღრესად ღრმა ანალიზთან და, ყოველივე, დანახულია გულანთებული, პირუთვნელი, სერიოზულად მოაზროვნე მამულიშვილის გამჭრიახი თვალით... აფხაზეთის ომზე უამრავი ნაშრომი წამიკითხავს, მაგრამ ჩემი აზრით, მათ შორის საუკეთესოა „დაკარგული ქვეყნის შვილები“, როგორც მართალი, მაღალმხატვრული ღირსებით გამორჩეული საუკეთესო დოკუმენტური ნაწარმოები. მაინც რამ განაპირობა წიგნისადმი მკითხველის აგრერიგი დაინტერესება? მასში დასმული პრობლემები დღესაც მეტისმეტად აქტუალურია, ამიტომაც გამოიცა იგი ხელმეორედ, ამჯერად საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-

**ძიუდო**

# სპორტის სასახლე ზეიმის მოლოდინშია



**მომავალ შაბათ-კვირას თბილისის სპორტის სასახლე ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში ბებერი კონტინენტის 42 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ. საქართველოს ნაკრები მეტოქეებს ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდება:** ნესტორ ხერგიანი (60 კგძ, მინდია ხომიზური (66ძ, თენგიზ პაპოშვილი (73ძ, ლევან წიკლაური (81ძ, ვარლამ ლიპარტელიანი (90ძ, ლომერ ჟორჟოლიანი (100ძ და ადამ ოქრუაშვილი (მძიმე წონაძ.

შეჯიბრების მაღალ დონეზე გასამართავად სპორტის სასახლეში დიდი სამზადისია. ამ საქმეში აქტიურად არიან ჩაბმული ევროპის ძიუდოს კავშირის წარმომადგენლები. მათგან ორგზის ოლიმპიური პრიზიორი, ევროპის ფედერაციის სპორტული დირექტორი **ინდრიკ პერტელსონი** გამოირჩევა. პირველად სწორედ მას გავესაუბრეთ:

— ევროპის ძიუდოს კავშირში დიდხანს განვიხილავდით შეჯიბრების თბილისში გამართვის საკითხს. მწვავე დისკუსიაც გვქონდა. თქვენთან არსებული მწვავე პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რომ ქართული ძიუდოსთვის დაგვეჭირა მხარი. აქაურ ფალავნებს ხომ უდიდესი წვლილი მიუძღვით მსოფლიო ძიუდოს განვითარებაში. რომ არა საქართველო, მერწმუნეთ, შეჯიბრებას სხვა ქვეყანაში გადავიტანდით.

**დავით ნამგალაური, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე:** ოლიმპიურ სახეობებში ამ დონის შეჯიბრებას პირველად ვუმასპინძლებთ. ერთიანი ძალისხმევით ყველა სირთულე გადავლახეთ და ვფიქრობთ, თავს არ შევირცხვენთ. ამ ჩემპიონატისთვის სპეციალურად მომზადდა 814 კვადრატული მეტრის პოდიუმი, კეთილმოეწყო ორი მოსათელი დარბაზი, კვების ბლოკები, გაიზარდა ადგილები პრესცენტრში. დარწმუნებული ვარ, 24-25 აპრილს ძიუდოს ქომაგებს სპორტის სასახლეში დიდი ზეიმი ელით. იმედია, ჩვენი ფალავნებიც გვასახელებენ. როგორც ვიცით, ისინი ამ ტურნირისთვის შესანიშნავად მოემზადნენ და გულშემატკივართა გასახარებლად ძალღონეს არ დაიშურებენ...

**გიორგი გაგუა**

**სურათზე: მარცხნიდან — დავით ნამგალაური, ირაკლი სამყურაშვილი და ინდრიკ პერტელსონი სპორტის სასახლეში.**

**ფეხბურთი**

# დედა, რა იყო ეს?!

**ჩვენი გაზეთის სპორტული გვერდის მკითხველები მიაქცევდნენ ყურადღებას, რომ მცირე ფორმატის გამო ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების შეხ-**



**ვედრებს საკადრისად ვერ ვაშუქებთ და მხოლოდ შედეგების გაცნობით გვიწევს გულშემატკივართა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება. ამჯერად გამონაკლისი უნდა დავუშვათ. თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.**

**ინგლისი. „ლივერპული" — „არსენალი" 4:4. გოლები:** ტორესი (2ძ, ბენაიუნი (2ძ; არშავინი (4ძ.

გასულ კვირაში რაფაელ ბენიტესის გუნდმა ჩემპიონთა ლიგის ფეერიული მატჩი ასეთივე ანგარიშით დაასრულა „ჩელსისთან". და აი, მორიგი სპექტაკლი. თანაც, მაშინაც და ახლაც მერსისაიდელებს ტრავმირებული ჯერარდი აკლდათ. ვითომ, ქარიზმატული ლიდერი და კაპიტანი უშლიდათ აქამდე ხელს? რა თქმა უნდა, არა, აქ უფრო ესპანელი მწვრთნელის ტაქტიკურ კრედოსა და ფილოსოფიასთან გვაქვს საქმე: როცა მის შეგირდებს ამოსაქაჩი აქვთ ბურთებისა თუ ქულების დეფიციტი, პირენეელი სპეციალისტი ისე მოძლვრავს ბიჭებს, თქვენი მოწონებული. რადგან „მეთოფეთა" თავკაცი არსენ ვენგერიც შემტევი ფეხბურთისადმი ერთგულებით გამოირჩევა, გასაკვირი სრულიადაც არ არის „ენფილდს" თავსდამტყდარი გოლების წვიმა. და ეს იმის მიუხედავად, რომ სარბიელზე ვერ გამოვიდნენ დაშავებული ადებაიორი და ვან პერსი.

სამაგიეროდ, გამოვიდა არშავინი. და მერე როგორ! მისმა „პოკერმა" მასპინძლებს კიდევ უფრო გაურთულა ჩემპიონობისთვის ბრძოლა.

**ესპანეთი. „რეალი" — „ხეტაფე" 3:2. გოლები:** იგუაინი (2ძ, გუტი; სოლდადო, ალბინი. კასკერომ ვერ გაიტანა პენალტი (ბურთი მოიგერია კასილიასმაძ.

პრემიერლიგის მსგავსად, პრიმერადივიზიონის ფინიშამდეც რამდენიმე ტური დარჩა და თითოეულ ქულას ოქროს ფასი დაედო. ამდენად, ადვილი ასახსნელია ის დრამატიზმი, რომლითაც „ბარსელონის" უახლოესი მდევრის „სამეფო კლუბისა" და სახიფათო ზონის ბინადრის „ხეტაფეს" მადრიდული დერბი დაგვამახსოვრდება. საილუსტრაციოდ უკანასკნელი წუთების სტენოგრამას შემოგთავაზებთ.



82-ე წუთი. ალბინი პარტნიორებს აწინაურებს;

85-ე წუთი. გუტის საჯარიმო და — 2:2.

89-ე წუთი. კასკერო ამაზრზენად ურტყამს პენალტს.

93-ე წუთი. იგუაინი ცაციათი ცხრიანში ათავსებს ბურთს.

დედა, რა იყო ეს?!

**გიორგი რაჭველიშვილი**

**ჭიდაობა**

# „ოქროს", „ვერცხლის" და „ბრინჯაოს"

**უზბეკეთის დედაქალაქში დამთავრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში 18 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ქართველი ფალავნებიც გამოდიოდნენ (დელეგაციის ხელმძღვანელი — ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი).** 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა კობა კაკალაძემ, რომელმაც ზედიზედ სძლია უზბეკებს — ნოვრუზოვს, ავლაქულოვსა და ტლეგენოვს, თურქ მუსტაფას, ფინალში კი უკრაინელი ბაზანი დაამარცხა და ოქროს მედალთან ერთად ჯილდოდ 3 ათასი დოლარიც დაიმსახურა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე ცოტა დააკლდა ევროპის ორგზის პრიზიორ ალექსი მოდებაძეს (120 კგძ. პირველ წრეში მან ყაზახ რიდნიაკს მოუგო, მერე დავით ოთიაშვილი და ირანელი ჩასემი ჩამოიცილა გზიდან. ფინალურ პაექრობაში კი ვერაფერი მოუხერხა რუს მსოფ-



ლიოს ჩემპიონ ბილოლ მახოვს და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

მესამე ადგილზე გავიდა ბელდუხ გავაშელიშვილი (96 კგძ. ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ ფინალისკენ მისი წინსვლა ყაზახმა შაბანბეიმ შეაჩერა. სამაგიეროდ, ქართველმა ფალავანმა დამამშვიდებელ ჯგუფში იყოჩაღა და „ბრინჯაოს" გამორჩა.

დანარჩენი ქართველი მოჭიდავეები — დავით კერაშვილი, მალხაზ ქურდიანი, მალხაზ ზარქუა, გელა საღირაშვილი, ნიკოლოზ გაგნიძე და დავით ოთიაშვილი კვარცხლბეკის მიღმა აღმოჩნდნენ. ტურნირში არ უჭიდავიათ ოლიმპიურ ჩემპიონ რევაზ მინდორაშვილს, პეკინის ოლიმპიადის პრიზიორებს — ოთარ თუშიშვილსა და გიორგი გოგშელიძეს, ასევე, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსან მალხაზ მუზიაშვილს.

**ვაჟა ნოსირელი**

**სურათზე: კობა კაკალაძე და ომზარ შოშიტაშვილი ფინალის წინ.**

**ჰოკეი**

# სახელოვანი მეკარე ბრუნდება



**ჰოკეის მოყვარულებს კარგად ახსოვთ სტენლის თასის ორგზის მფლობელი, ჩეხი მეკარე დომინიკ ჰაშეკი, „დომინატოსსაც" რომ ეძახიან. მან ერთი წლის წინათ, სტენლის თასის მოპოვების შემდეგ გადაწყვიტა დიდი სპორტიდან წასვლა, მაგრამ, როგორც ჩანს, გულმა არ გაუძლო და ისევ ბრუნდება. მან უკვე გააფორმა კონტრაქტი ჩეხურ „პარდუბიცესთან", სადაც მისი კარიერა დაიწყო.**

— „პარდუბიცეში" ბევრი წელი გავატარე, არც კი მიფიქრია, რომ რომელიმე სხვა ჩეხურ კლუბში ვითამაშებდი. მომავალ სეზონს იმედით შევყურებ", — განაცხადა 44 წლის სახელოვანმა მეკარემ.

1983 წელს დრაფტით „ჩიკაგოში" მოხვედრილმა ჰაშეკმა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 382 მატჩი გამართა „დეტროიტის", „ოტავის", „ბაფალოსა" და „ჩიკაგოს" შემადგენლობაში, მოიპოვა ჰარტ ტროფის ჯილდო, როგორც ლიგის სასარგებლო მოთამაშემ, აგრეთვე 6-ჯერ დაეუფლა საუკეთესო მეკარის ტიტულს. მან 1998 წელს ნაგანოში ჩეხეთის ნაკრებს ოლიმპიურ თამაშებზეც გაამარჯვებინა.

**ჩოგბურთი**

# ორი საგზურის ექვსი მაძიებელი



**ანტალიაში 6 ქვეყნის ჩოგბურთელ ქალთა ნაკრები გუნდები იასპარეზებენ ფედერაციის თასზე ევროპა-აფრიკის II ზონის გათამაშებაში.** A ჯგუფში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან პორტუგალია, ლატვია და მაროკო, ხოლო B ჯგუფში საქართველო, თურქეთი და სამხრეთ აფრიკა ითამაშებენ. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ანა ტატიშვილი, მაკა ჩახნაშვილი, სოფიო შაფათავა და მანანა შაფაქიძე.

ექვსიდან ორი საუკეთესო გუნდი ევროპა-აფრიკის პირველ ზონაში აღზევდება.

**ინტერნეტიდან**

## რასისტული გამოხდომების საპასუხოდ

**ევროპული ფეხბურთის შტაბი (უეფაძ აპირებს, შეწყვიტოს ფეხბურთის მატჩები, თუ კი გულშემატკივრები გამოავლენენ რასისტული ხასიათის საქციელს, — ამაზე განაცხადა უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ.**

გასულ უქმეებზე ტურინში გამართულ მატჩზე „იუვენტუსის" გულშემატკივრები შეურაცმყოფელ სიტყვებს გაჰყიროდნენ მილანის „ინტერის" მუქკანიანი თავდამსხმელის, 18 წლის მარიო ბალოტელის მისამართით. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. მორიგ შეხვედრას „ბებერი ქალბატონი" უმაყურებლოდ გამართავს.

„ჩვენ მოგიწოდებთ, შეაჩეროთ მატჩი 10 წუთით, როდესაც



ასეთი გამოხდომები ხდება, ცნობა მატჩის შეჩერების მიზეზებზე იქვესტადიონზე უნდა გამოცხადდეს, — თქვა პლატინიმ პრესკონფერენციაზე, — თუკი გულშემატკივრების ასეთი საქციელი გაგრძელდება, მატჩი საერთოდ შეწყდება. ჩვენ მკაცრები უნდა ვიყოთ რასიზმთან ბრძოლაში. ეს უეფას მისიაა".

შემდეგ კი ევროპული ფეხბურთის თავკაცმა, ადრე „იუვენტუსშიც" რომ თამაშობდა, დაამატა: „ეს რთული მომენტია იტალიის ფეხბურთის ფედერაციისათვის. ის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს".

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანკარლო აბეტემ კი თქვა, რომ შეიცვლება მატჩების გამართვის წესები, რათა შესაძლებელი გახდეს თამაშის შეჩერება ტრიბუნებიდან რასისტული შეძახილების შემთხვევაში".

## ფეხბურთი და სექსი — კრიზისის გადამრჩენი?!

**ყველაფერი ნატურალური უყვარს ამერიკელ კინომსახიობ ჯესიკა ბილს. ის ამჯობინებს მაკიაჟის გარეშე ყოფნას და წინააღმდეგია პლასტიკური ქირურგიისა. მას განსაკუთრებით აღიზიანებს მკერდის ხელოვნური გაზრდის ოპერაციები. თავად მშვენიერი გარეგნობისაა და ამის გაკეთება არ სჭირდება. თანაც გატაცებულია სპორტით.**

კინოგადაღებებს შორის შესვენებისას ის სამთო ველოსიპედით დასეირნობს, ხოლო ემოციური განტვირთვისთვის ჯასტინ ტიმბერლეიკთან ერთად ამერიკული ფეხბურთის მატჩებს ესწრება.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. მალე ამერიკის ეკრანებზე გამოვა დრამა „ცისფერი პუდრა", რომელშიც ის მთავარ გმირს — სტრიპტიზიორ როზი ჯონის თამაშობს. გადაღების პროცესში ჯესიკა გაძლიერებით სწავლობდა კეტი ჯონის ეგზოტიკურ ცეკვებს. მან კი განაცხადა, რომ „ჯესიკას ძლიერი და პლასტიკური სხეული აქვს. ისე რომ, ფინანსური კრიზისის დროს ის კარგად ახამებს ერთმანეთს ფეხბურთსაც და სტრიპტიზსაც.



მხარე

# სადახლოელები იმუქრებიან...

**მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოში, საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1995 წლიდან მოქმედებდა შპს „საზღვრისპირა სავაჭრო ცენტრი“, სადაც ხუთი ათასი ადამიანი იყო დასაქმებული.** მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობა და აფხაზეთიდან დევნილები. ბაზრობის ტერიტორიაზე იყიდებოდა როგორც რეგიონში მოწეული სასოფლო-სამეურნეო, ისე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი პროდუქცია. პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობები ხელს უწყობდა ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობისა და თანაცხოვრების მოწესრიგებას. მეზობელი ქვეყნიდან საქართველოს ბიუჯეტში შემოდიოდა დამატებითი ფინანსური სახსრები, იზრდებოდა ქართული პროდუქციის ექსპორტის წილი. 2005 წელს სადახლოს საბაჟო გამტარი პუნქტის დაკეტვის შესახებ ხელისუფლების გადაწყვეტილების საფუძველზე, „საზღვრისპირა სავაჭრო ცენტრმა“ ფუნქციონირება შეწყვიტა. ამის მიზეზად ხელისუფლებამ სომხეთიდან კონტრაბანდის შემოდინება დაასახელა.

ამ პრობლემაზე საქართველოს აზერბაიჯანელების კონგრესის თავმჯდომარემ ალი ბაბაევმა პრეზიდენტისადმი საჯარო მიმართვაში გაამახვილა ყურადღება „თავისუფალი აზრის სახლში“ გამართულ შეხვედრაზე გამოსვლისას: „რაც საზღვრისპირა სავაჭრო ცენტრმა მუშაობა შეწყვიტა, ხუთი ათასი ადამიანი უმუშევარი დარჩა, რეგიონში უკიდურესად დამძიმდა სოციალური ვითარება, სახელმწიფო ბიუჯეტს გარანტირებული შემოსავლები დააკლდა. ჩვენ არაერთხელ მივმართეთ როგორც პრეზიდენტს, ასევე სახელისუფლებო ორგანოებს, რათა მათ ყურად ეღოთ ხალხის გასაჭირი და რეაგირება მოეხდინათ პრობლემაზე, თუმცა ყურადღება არავინ მოგვაქცია. არადა, დღეს, როდესაც საქართველოს ხელისუფლება აქტიურად აკეთებს განცხადებებს მოსახლეობის დასაქმების პროგრამის განხორციელების მნიშვნელობის შესახებ, განსაკუთრებით გაუგებარია ამ საკითხის მიმართ გამოვლენილი გულგრილი დამოკიდებულება“, — განაცხადა ალი ბაბაევმა.

უნდა აღინიშნოს, რომ თვრამეტი ათასი ადამიანიდან ოთხი ათასიღა დარჩა სოფელში. მიზეზი კი ბაზრის დაკეტვა გახდა, ასევე მათ ბანკის ვალი დარჩათ გადასახდელი, ამის გამო უმეტესობა თურქეთში წავიდა სამუშაოდ. იქ კი, მოგეხსენებათ, თითქმის მონებად ჰყავთ მუშა ხალხი. ალი ბაბაევის განცხადებით, ხელისუფლება ქვემო ქართლის მოსახლეობას არჩევნების დროს იყენებდა და ატერორებდა, ახლა კი ყურადღებას არ აქცევს: „ძალიან მინდოდა, დღეს აქ ჩემთან ერთად ყოფილიყო ბაზარში მომუშავე მოსახლეობაც, მაგრამ ის ადამიანები თბილისისკენ არ გამოუშვეს. ყველა გაფრთხილებულია, რომ აქეთ არ წამოვიდნენ. მინდა აღვნიშნო, რომ კონტრაბანდა დღესაც შემოდის, ამის ფაქტებიც მაქვს. თუ ამ ბაზარს არ გახსნიან და ყურადღებას არ მოგვაქცევენ, იძულებული გავხდებით, საპროტესტო აქციებს შევუერთდეთ“, — განაცხადა ბაბაევმა.

მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოს მოსახლეობა ახლა უკვე საჯაროდ დაიცავს საკუთარ ინტერესებს და საქართველოს ამ კუთხეში, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ერთადერთი წყაროა სადახლოს ბაზრობა, ვითარება, ვიმედოვნებთ, საბოლოოდ გამოსწორდება. მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოს მოსახლეობა პრეზიდენტის გადაწყვეტილების მოლოდინშია.

**ანა კვარაცხელია**

ყურადღება!

## ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზის“ (სოციალურ-პოლიტიკურ კვლევათა ცენტრი, შვედეთი) მკითხველებს




ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზის“ (სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან პროფესორები გიული ალასანია და ვლადიმერ პაპავა) წარმომადგენელი საქართველოში ჟურნალის ყველა მკითხველს სთხოვს (ვინც აქამდეც უფასოდ იღებდა აღნიშნულ ჟურნალს), 2009 წლის პირველი ნომრის მისაღებად მოაკითხოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას.

რუბრიკით — „ხუთდღიანი ომი“ და კავკასიაში მშვიდობის პერსპექტივები“ დაბეჭდილია მანიტობას უნივერსიტეტთან (კანადა) არსებული უშიშროებისა და თავდაცვის პრობლემათა შემსწავლელი ცენტრის თანამშრომლის, პოლიტოლოგიის კათედრის ადიუნქტ-პროფესორის ლაშა ჭანტურიძის — „აქ წინასწარმეტყველი არ არის საჭირო: ომი და მშვიდობა კავკასიაში“; ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტის კორნელი კაკაჩიას — „რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომი: ფასი, რომლის გადახდაც მოგველის, და გაუთვალისწინებელი შედეგები“; სტრატეგიულ კვლევათა რუსეთის ინსტიტუტის (მოსკოვი) ახლო საზღვარგარეთის პრობლემათა განყოფილების უფროსის, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ალექსანდრე სკაკოვის — „აგვისტოს კრიზისი კავკასიაში და მისი შედეგები“ და ფათიხის უნივერსიტეტის (სტამბოლი, თურქეთი) საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის პროფესორის სავაშ გენჩის — „ქართულ-სამხრეთოსური კონფლიქტის მნიშვნელობა თურქეთის საგარეო პოლიტიკისათვის“. რუბრიკით — „სახელმწიფო მშენებლობა“ ჟურნალი აქვეყნებს პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის (თბილისი) ბექა ჭედიას — „ქართული არჩევნების დილემა: პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაცია თუ არალიბერალური დემოკრატიის გაფორმება“.

ჟურნალში სათანამშრომლოდ საჰონორარო ანაზღაურებით ვიწვევთ კვალიფიციურ ავტორებს.

ახალი წლიდან ჟურნალი ხელმოწერითაც ვრცელდება.

ჩვენი მისამართია: მ. კოსტავას ქ. 12.

ტელ: 899 53 76 16, 98 65 87

ინფორმაცია

## კიევში ქართველი სტუდენტები დააკავეს

**ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დირექტორი და 6 სტუდენტი უკრაინის გავლით პოლონეთში საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებოდნენ.**

**ისინი კიევის აეროპორტში 4 საათის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული.**

**უკრაინაში საქართველოს საკონსულოს ჩარევის შემდეგ დაკავებული ქართველები გუშინ გაათავისუფლეს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## პარკის აღდგენაში ესტონელები დაგვეხმარებიან

**ესტონეთის სოამას ეროვნული პარკის წარმომადგენლები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში სარეაბილიტაციო სამუშაოებს განახორციელებენ.**

როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოდან იტყობინებიან, ესტონელი სტუმრები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს ესტუმრნენ. ვიზიტის მიზანი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიერ ზან-პარკების წევრობის კანდიდატი სოამას ეროვნული პარკისათვის გამოცდილების გაზიარება და ურთიერთთანამშრომლობის დანერგვაა.

სტუმრები, ეროვნული პარკის თანამშრომლებთან ერთად, ერთი კვირის განმავლობაში ბილიკების მარკირების, საპიკნიკე და საცეცხლე ადგილების და ტურისტული თავშესაფრების შესაკეთებელ სამუშაოებში მიიღებენ მონაწილეობას.

**ინტერპრესნიუსი**

**ქ. თბილისში ფოთელების საზოგადოების გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების წევრი**

**გურამ ფონიავა**

**და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.**

## შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს

### მდინარე მტკვარზე აგარა-ქარელის გადასარბენი კმ 2404+პკ7+97.85 სარკინიგზო ხიდის მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხილვას

მდინარე მტკვარზე აგარა-ქარელის გადასარბენი კმ 2404+პკ7+97.85 სარკინიგზო ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით, ქარელის რკინიგზის სადგურის შენობაში 2009 წლის 15 ივნისს 12 საათზე მოეწყობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

— საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში, თბილისი, გულუას ქ. №6;

— ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15 შპს „საქართველოს რკინიგზა“.

— სსს „ხიდმშენი“ ქ.თბილისი, ლესელიძის ქ. 15.

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე:

— შპს „საქართველოს რკინიგზა“, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15.

ს/კ 202886010 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ დიღუბის ფილიალის ა/ა 5553407 ბანკის კოდი 220101665

**საკონტაქტო ინფორმაცია**:

ტელ. 56-31-49; 56-44-49; ფაქსი 56-44-49.

საკონტაქტო პირი — **ჩიხლაძე გია.**

საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა — 12.06.2009წ. 12 სთ.

## შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს

### ლილო-ვაზიანის გადასარბენის კმ15 პკ10-ში არსებული დაზიანებული ხიდის ნაცვლად ახალი ხიდის მშენებლობის და მისასვლელი რკინიგზის ლიანდაგის რეკონსტრუქციის მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხილვას

ლილო-ვაზიანის გადასარბენის კმ15 პკ10-ში არსებული დაზიანებული ხიდის ნაცვლად ახალი ხიდის მშენებლობის და მისასვლელი რკინიგზის ლიანდაგის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, თამარ მეფის გამზირი № 15 შპს „საქართველოს რკინიგზა“, IV სართული, ოთახი 4060-ში 2009 წლის 15 ივნისს 12:00 საათზე მოეწყობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

— საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში, თბილისი, გულუას ქ. № 6;

— ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15, შპს „საქართველოს რკინიგზა“;

— სსს „ხიდმშენი“ ქ.თბილისი, ლესელიძის ქ.15.

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე:

— შპს „საქართველოს რკინიგზა“. ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15.

ს/კ 202886010 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ დიღუბის ფილიალის ა/ა 5553407 ბანკის კოდი 220101665

**საკონტაქტო ინფორმაცია**

ტელ. 56-31-49; 564449; ფაქსი 56-44-49.

საკონტაქტო პირი — **ჩიხლაძე გია.**

საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა: 12.06.2009წ. 12 სთ.

# დავუბრუნოთ ბავშვები ოჯახებს!

ძვირფასო მკითხველო! გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისთვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

თუ გვსურს,
ქვეყნად
სიყვარული დავნერგოთ,
თუ გვსურს,
ზურგი შევაქციოთ
ჩარჩობას,
30-30 დავრეკოთ,
საწყალ ბავშვებს
დავუბრუნოთ
ბავშვობა.



ჯანსუღ ჩარკვიანი

ფონდი „იავნანა“

## მადლიერება

# როგორც ოჯახურ ატმოსფეროში...

**ჰემატოლოგიის და ქიმიოთერაპიის კლინიკა „ჰემას“ რეკლამა არ სჭირდება, მის მედპერსონალს პაციენტი ზომაზე მეტი ჰყავს...**

ავადმყოფისთვის ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მიიღებენ მას საავადმყოფოში. „ჰემაში“ მოხვედრისთანავე თქვენ აღმოჩნდებით ღიმილიან და ალერსიან ატმოსფეროში. თავიდანვე გესახებათ იმედი. აქ მინდობილ საქმეს, ყველა უხმაუროდ ემსახურება. რამდენიმე დღე და, თქვენ კლინიკის წევრივით გრძნობთ თავს. დამლაგებლიდან დაწყებული ხელმძღვანელობამდე, ყველა შენი ახლობელი ხდება. მკურნალობაც მაღალ დონეზეა დაყენებული. კლინიკას დიდი კონტაქტები აქვს საზღვარგარეთის წამყვან ქვეყნებთან. ხშირია ექიმების მივლინებები კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაღალია ლაბორანტთა და ექთანთა დონე...

კლინიკის ხელმძღვანელები, პროფესორები – **მამუკა ზოდელავა და ირაკლი თოფურიძე** ყველაფერს აკეთებენ, რომ ეს სამკურნალო დაწესებულება ერთ-ერთი მოწინავე იყოს ქვეყანაში.

არავინ იფიქროს, რომ ყველა, ვინც მივა კლინიკაში, რამდენიმე დღეს იმკურნალებს და სრულიად ჯანმრთელი გაეწერება აქედან. ყველა არა, მაგრამ ასეთი შემთხვევებიც ბევრია. დაგვიანებულ და, როგორც იტყვიან, შორსწასულ ავადმყოფობას მამაზეციერი შველის მხოლოდ.

ჰემატოლოგია რთულ დარგად რჩება მედიცინაში. ყველაფერი, რაც ზემოთ აღვნიშნე, საკუთარ თავზე გამოვცადე, ამიტომ უფრო დამეჯერება. და რა გასაკვირია, რომ ერთი-ორი კეთილი სიტყვა მეთქვა აქაურ მედპერსონალზე.

ზაურ გომართელი

## დაიჯესტი

# სწავლული კვატა

**საუკუნის სენსაციად მონათლული ამბავი თავისთავად იმას გულისხმობს, რომ რომელიმე შემთხვევა ან მოვლენა იმდენად უნიკალურია, რომ მისი განმეორება, თუნდაც ასწლეულის მანძილზე, ნაკლებადაა სავარაუდო. ეს, ცხადია, მთლად ასე არ არის, „საუკუნის სენსაცია“ შეიძლება მრავალიც იყოს. აი, თუნდაც ერთი მათგანი.**

ლაპარაკია არა ცირკის ექსპერიმენტზე, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების დრეიკის უნივერსიტეტში ჩატარებული მეტად საგულისხმო ექსპერიმენტზე. ნუ გაოცდებით, ბატონებო, მაგრამ იხვი, მეტსახელად სერ ლანსელოტი (ლანსიძ არჩევს... დაწერილ სიტყვებს: ნისკარტი, სდექ, იმღერე, ჩაუნისკარტე, არ ჩაუნისკარტო, ბურთი.



– იხვებს ჩინებული მხედველობა აქვთ და ფერებისადმი განსაკუთრებული მგრძნობიარობით გამოირჩევიან, – ამბობს ლანსის დამრიგებელი, ფსიქოლოგი კენეტ ლოიდი. – თავდაპირველად შავ ასოებს ფერად ფურცლებზე ვწერდით. ლანსი მალევე მიხვდა, რომ თუკი წითელ ფურცელს ჩაუნისკარტებდა, საკვებს მიიღებდა. მერე ნელ-ნელა ფურცლებს ფერები „მოვაცილეთ“ და ასოების თეთრ ქაღალდზე დაწერა დავიწყეთ. ახლა კი კვატა უკვე უშუალოდ დაწერილ სიტყვებზე რეაგირებს.

სერ ლანსელოტმა მტკიცედ იცის რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობა, როცა მას სიტყვას „იმღერეს“ აჩვენებენ, იხვი ენერგიულად იწყებს ყაყანს, თანაც ექსპერიმენტატორს სიბრალულით გასცქერის: მას ხომ ყველაფერი ესმის, ეს ამხელა კაცი კი აზრზე არ არის, თუ რას ეუბნება კვატა, რომელმაც ასე კარგად იცის კითხვა.

# ცურვა „ნაჯახის“ სტილით



**ამერიკელ ადელინა მერის ერთი ფრიად უჩვეულო რეკორდი ეკუთვნის:** მისი საცურაო კოსტიუმების სარეკლამო ფოტო... 4300-ჯერ გამოქვეყნდა შეერთებული შტატების ფაქტობრივად ყველა მეტ-ნაკლებად პოპულარულ ჟურნალში. ასეთი საყოველთაო პოპულარობის პატრონმა, თითქოს, ცურვა თევზივით უნდა იცოდეს, თუმცა ცნობისმოყვარე ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ მშვენიერ ადელინას... ორი მეტრის გაცურვაც არ შეუძლია!

# ასე მიაჩნიათ...



**რას ნიშნავს ფულის უაზრო ხარჯვა? გამოკითხულ ამერიკელთა 80 პროცენტს მიაჩნია,** რომ ეს არის 40 ათას დოლარზე ძვირიანი მანქანის ყიდვა; 77 პროცენტს ასეთად აზარტული თამაშები ესახება; 4 პროცენტს – მანქანაში ტელეფონის დაყენება; 69 პროცენტს – თვითმფრინავით პირველი კლასით მგზავრობა; 68 პროცენტს – მოდელური ტანსაცმლის ყიდვა; 66 პროცენტს – იმპორტული ლუდის სმა; 63 პროცენტს – პატიოსანი თვლების შეძენა; 49 პროცენტს – კრედიტით რაიმეს ყიდვა; 36 პროცენტს – შვებულებისას სახლის ქირაობა; 32 პროცენტს – ბროდვეის თეატრებში სიარული; 31 პროცენტს – შვებულების საზღვარგარეთ გატარება; 27 პროცენტს – კაპიტალის დაბანდება საბირჟო გარიგებებში, ხოლო 23 პროცენტს – სადილობა ძვირფას რესტორნებში.

# შეჯიბრი თუ ანგარიშსწორება?

**ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს კარატეს სპორტული კლუბის მესვეურებმა თავიანთი სპორტსმენების საჩვენებელი შეჯიბრების მოწყობა გადაწყვიტეს. მაგრამ, მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ.** ორივე კლუბის წარმომადგენელს, რომლებსაც, როგორც აღმოჩნდა, ერთმანეთში დი-



დი ხნის ქიშპობა ჰქონიათ, მრავალრიცხოვანი მაყურებლის თვალწინ ნამდვილი გააფთრებული ბრძოლა მოაწყეს: ორმოცდაათმა კარატისტმა ერთმანეთს დაუნდობლად დაალეწა თავ-ყბა, კიდურები და სპორტული დარბაზი მთლად სისხლით მორწყა. თანაც „გაისარჯნენ“ არა მარტო რიგითი სპორტსმენები, არამედ მათი მწვრთნელებიც.

ამ სისხლიანი წარმოდგენის შეჩერება მხოლოდ პოლიციელებმა შეძლეს, რომლებმაც ადგილზე მისვლა რამდენიმე წუთში შეძლეს იმ მარტივი მიზეზით, რომ შეჯიბრი ტარდებოდა... სან-პაულუს პოლიციის გენერალურ სამმართველოში, ხოლო საბაბი კი ქალაქში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ფართომასშტაბიანი კამპანიის დაწყება იყო.

უცხოური პრესის მიხედვით

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

ფსიქიატრიის სიახლენი: ახლა საგიჟეთში პრაქტიკულად არ არსებობენ ნაპოლეონები. ამჟამინდელმა შერეკილებმა უბრალოდ არ იციან, ვინ არის იგი.

* * *

– ალო, დირექტორთან შეიძლება დალაპარაკება? რაო, დირექტორი დაკავებულია? მის პირად მდივანთან თუ შეიძლება დალაპარაკება? აჰა, დირექტორი დაკავებულია...

* * *



– ივან ივანიჩ, რატომ არის, რომ ახალ ამბებში ამბობენ „პრეზიდენტი მედვედევი“, სხვებს კი ასე ჩამოთვლიან – „საფრანგეთის პრეზიდენტი“, „აშშ-ს პრეზიდენტი“?

– იმიტომ, რომ ჩვენ ორი პრეზიდენტი გვყავს და უნდა დაზუსტდეს, კონკრეტულად რომელ მათგანზეა საუბარი.

* * *

– ექიმო, იქნებ რაიმე ეფექტიანი გასახდომი საშუალება გამომიწეროთ?

– კი, ბატონო, ნახშირს დაგინიშნავთ.

– ფხვნილის სახით თუ ტაბლეტებით?

– ტომრებით. ვაგონებს გადმოტვირთავთ!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.